# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 2 მაისი 2007 №97 (3020) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუშინ რეინა იყო

# REY!










AFP

www.pfl.ge

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

# მიულოცველი ფინალი

ბოლნისი. 1 მაისი. 16.10 საათი. თამაზ სტეფანია

**სიონი 4:1დ.დ.(3:0) *ამერი* (0:3)**

1:0 ჩასემი (12), 2:0 კორღალიძე (36), 3:0 ქარდავა (81), 3:1 დავითაშვილი (97), 4:1 ქარდავა (114)

| | |
|---|---|
| სიონი: მამალაძე, სვანიძე, ორბელაძე, ფრიდოლინი, კობაური, სილაგაძე (ბაბუნაშვილი 57), ა. ალავიძე, ლ. ბაჯელიძე (ბ. ცხადაძე 75), კორღალიძე, დარასელია (ქარდავა 81), ჩასემი; სათადარიგონი: ბობლიაშვილი; ვ. უგრეხელიძე, რაქვიაშვილი, ლ. ჭელიძე; მწვრთნელი: კახა ცხადაძე | ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, დოლიძე, დობროვოლსკი, ბოლქვაძე (ჩიკვილაძე 98), ჯელაძე (დეკანოსიძე 46), ს. დავითაშვილი, ტატანაშვილი (რ. წინამძღვრიშვილი 56); სათადარიგონი: ნაჭყებია; ჩიმაკაძე, გაბისკირია, კაკაშვილი; მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |

გაფრთხილება: ელბაქიძე (24), ფრიდოლინი (45), დავითნიძე (71), ელბაქიძე (111)

გაძევება: ელბაქიძე (111)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, მ. ურუშაძე; ა. ნონიკაშვილი

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე; დელეგატი: პ. ბურჯალიანი

ᲙᲝᲢᲔ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ *ბოლნისიდან*

**ნათქვამია,** გამარჯვებულებს არ ასამართლებენო, მაგრამ...

მაგრამ ვერსად გავექცევით იმ ფაქტსაც, რომ არბიტრის საფინალო სასტვენის მერე ამერელებს ერთმანეთისთვის თასის ფინალში გასვლაც არ მიულოციათ...

ისიც ფაქტია, რომ გავარდნილი გუნდი გულშემატკივარმა ტაშით გააცილა, რაც საქართველოში, რომ ვიხსენებთ, მგონი, მხოლოდ მეორედ მოხდა — პირველად „ამერს“ დაუკრეს ტაში „პერტასთან“ გავარდნის მერე.

ის, რაც აწ უკვე თასის ფინალისტ „ამერს“ ბოლნისში შეემთხვა, ნამატჩევს ზუსტად განმარტა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ, პირველი მატჩის დიდი ანგარიშით მოგების მერე, ჩვენი მცდელობის მიუხედავად, ფეხბურთელებმა საპასუხო მატჩისთვის სათანადო განწყობა ვერ შეიქმნესო.

მწვრთნელის სიტყვებში ეჭვს ვერ შევიტანთ, მხოლოდ ერთს დავძენთ: საბრძოლო განწყობის შექმნა „ამერის“ მუდმივი პრობლემაა და თუ ეს გუნდი დღეს ჩემპიონობისთვის ველარ იბრძვის, სწორედ ამ მიზეზით უნდა იყოს — გავიხსენოთ დაკარგული ქულები „ბათუმთან“ და „ბორჯომთან“, რომლებიც ამერელებმა სწორედ იოლი გამარჯვების მოლოდინში გაანიავეს.

პირველი მატჩის ანგარიშიდან გამომდინარე, ბოლნისური თამაშის სცენარი ყველამ წინდაწინვე ვიცოდით. „სიონის“ ერთადერთი შანსი სწრაფი გოლი იყო და ამ შანსის გამოსაყენებლად კახა ცხადაძემ სამი მცველით ითამაშა — მეოთხის მოხსნის ხარჯზე შეტევა გააძლიერა. „ამერის“ მიზანი კი, შესაბამისად, გაცილებით იოლად შესასრულებელი გახლდათ — დაგვეთანხმებით, სამი გოლის არგაშვება თუნდაც ერთი გოლის გატანაზე იოლად შესასრულებელი ამოცანაა.

საწყის 11 წუთში აღსანიშნი „სიონის“ გულშემატკივართა მეთაურის ბილწსიტყვაობის მეტი არაფერი ყოფილა. „სიონი“ საგოლე მომენტის შექმნას ლამობდა, მაგრამ არ გამოსდიოდა. მე-12 წუთზე კი თამაშს ინტრიგა გაუჩნდა — „სიონმა“ გოლი გაიტანა. ასე იყო: ბოლნისელი შემტევის დარტყმული მცველს მოხვდა, ბურთი ვიტალი დარასელიას მოუვიდა, მაკრატელათი დაარტყა, მაგრამ კარში წასვლის მაგიერ ერიკ რომეო ჩასემს მიუვიდა და მანაც, კარის წინ რამდენიმე მეტრში მყოფმა, ანგარიში გახსნა. ერთიც დავძინოთ: ჩასემი ამ დროს აბსოლუტურად უმეთვალყურეო იყო.

ამ გოლმა ამერელებს საფრთხე ვერ აგრძნობინა, „სიონი“ კი, ბუნებრივია, უფრო გამოცოცხლდა, თუმცა მეორე გოლამდე მხოლოდ ერთხელ დაემუქრა ქვაჩახიას კარს — დარასელიას საჯარიმო „ამერის“ მეკარემ კუთხურზე გადააგდო.

ტაიმის დასრულებას ცხრა წუთი უკლდა, „სიონის“ უიმედო მდგომარეობა რეალურ შანსად რომ იქცა — ჩასემმა ქვაჩახიას დაასწრო და ბურთი მეკარის ბაქნის შუაგულში ჩააგდო, სადაც ლევან კორღალიძეს ფეხის უბრალოდ მირტყმის მეტი არაფერი დარჩენოდა.

და აქაც შევნიშნოთ, რომ კორღალიძეს არავინ უშლიდა ხელს.

და მაინც, „ამერს“, ცუდად თამაშის მიუხედავად, მაინც შეეძლო მატჩის ბედის ადრევე გადაწყვეტა.

კორღალიძის გოლიდან ერთ წუთში გივი დიდავას ჩაწოდებულ საჯარიმოს სულიკო დავითაშვილმა დასცხო და „სიონი“ ზურაბ მამალაძის შესაშურმა რეაქციამ იხსნა.

კიდევ ცოტაც და, გრიგოლ დოლიძის განივ პასს დიმიტრი ტატანაშვილმა აცილა ფეხი, არადა, კარგ პოზიციაში იმყოფებოდა. ტაიმის ბოლო წუთზე კი იმავ დოლიძემ წინ გამოსული მეკარისთვის ბურთის გადაგდება მოინდომა, მაგრამ დარტყმაც ცუდი გამოუვიდა და მეკარემაც დროულად დაიკავა სწორი პოზიცია.

ამ მომენტებმა, ერთი შეხედვით, „ამერის“ გამოცოცხლებაზე მიგვანიშნა, მით უმეტეს, რომ მეორე ტაიმის დასაწყისში „ამერს“ საუკეთესო საგოლე შანსიც მიეცა — დოლიძე-ტატანაშვილის კომბინაცია დავითაშვილმა მეკარის მოტყუებით და კარში დარტყმით დაასრულა, მაგრამ ფრიდოლინმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

ეს იყო და, ისე გამოჩნდა, რომ „ამერი“ 0:2-ზეც ყაბულს იყო, თანაც ბოლნისელებიც არ ბდღვნიდნენ და ქმნიდნენ ზედიზედ სახიფათო მომენტებს.

შესვენების მერე მწვრთნელებმა შეცვლებსაც მიმართეს, ამათგან კულმინაციური კი დარასელიას ბესიკ ქარდავათი შეცვლა გამოდგა. მეოთხე მსაჯს შეცვლათა დაფები ჯერაც ხელში ეჭირა, ქარდავამ ბურთთან პირველივე შეხებით ბოლნისელთა მესამე გოლი რომ შეაგდო.



სულიკო დავითაშვილის ფეხის ერთი მოქნევა, რომელმაც „ამერი“ ფინალში გაიყვანა

აქაც უნდა ვთქვათ: ქარდავას სამი მცველი ედგა, საგოლედ დარტყმა რომ მოახერხა.

3:0! — თამაშის დაწყებამდე ყველაზე თამამი პროგნოზისტებიც ვერ ივარაუდებდნენ საქმის ასე დატრიალებას, ხოლო 88-ეზე ჩასემის დარტყმული ოდნავ ზუსტი რომ ყოფილიყო, პროგნოზების გაბითურება მერე გენახათ...

90 წუთი გავიდა, ორი მატჩის ჯამში ანგარიში გათანაბრდა და დამატებითი 30-წუთეულის ჯერიც დადგა.

გათამაშების დებულება გვამცნობს, რომ დამატებით დროში სტუმრად გატანილი გოლის წესი ისევე მოქმედებს, როგორც ძირითად 90 წუთში. ეს წესი კი ტყუილად არ გაგვიხსენებია: ბოლნისელ გულშემატკივართა ნაწილს სწორედ ამ წესის არცოდნის გამო ჰქონდა პრეტენზია ნამატჩევს...

ხოლო რა მოხდა დამატებით დროში, სტენოგრამულად აღვწეროთ.

94-ე წუთი: ბოლნისელები შორ ძელთან აწვდიან. იქ ქარდავაა, რომელიც ორიოდ მეტრიდან თავით ურტყამს, მაგრამ ქვაჩახია ბურთს ადგილზე ხვდება.

97-ე, გადამწყვეტი წუთი: დიდავა ჯარიმიდან ბურთს დეკანოსიძეს აძლევს, ის რატი წინამძღვრიშვილს აწვდის. რატი დავითაშვილს აძლევს პასს, „აბრეზა“ წინ მიიწევს და მარცხნიდან შორ კუთხეში არტყამს. ბურთი ძელს ხვდება და ბოლნისელთათვის ნერვებისმომშლელად ნელა გორდება კარში.

102-ე წუთი: სანამ ბოლნისელები გონს მოვლენ — მათ უკვე ორი ბურთის გატანა სჭირდებათ — „ამერი“ კიდევ ერთ, საუკეთესო მომენტს ქმნის. დავითაშვილის პასს მეკარის ბაქანში მყოფი წინამძღვრიშვილი ხვდება და ურტყამს. როგორ აცილა რატიმ ის ბურთი, გამოცანად რჩება.

106-ე წუთი: ბაჩანა ცხადაძის კარგ დარტყმულს ქვაჩახია კარგსავე ნახტომს აგებებს.

111-ე წუთი: „ამერს“ მეორე გაფრთხილებით გიორგი ელბაქიძეს უძევებენ. „სიონი“ კი ისევ მიიწევს გასატანად.

114-ე წუთი: დავით სვანიძის დარტყმულს ქვაჩახია იგერიებს, მაგრამ ამერელებს ბურთი საჯარიმოდან ვერ ამოაქვთ, ქარდავა ამატებს და — 4:1. „სიონს“ ფინალში გასასვლელად დარჩენილ ექვს წუთში ერთი გოლიც სჭირდება.

სირბილის თავი აღარავის აქვს. „ამერს“ ორი-სამჯერ კონტრშეტევაზე შეუძლია მეტოქის გამოჭერა, მაგრამ ვერ ახერხებს. ორივე გუნდის სათადარიგოთა სკამზე მყოფნი ფეხზე დგანან და ლამის მოედნის შიგნით შევიდნენ. და „ამერისთვის“ საამური არბიტრის სასტვენიც გაისმის.

მერე კი, როგორც თავში ვთქვით, მილოცვის თავი არავის აქვს.

# ხალხმა თამაშს უყურა: ბრაზილიელების ქართულით გაერთო

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲣᲠᲕᲐᲜᲘᲫᲔ ბათუმიდან

ბათუმი. 1 მაისი. 16.00 საათი. ადელი

**ბათუმი 0:1 *ზესტაფონი* (0:4)**

0:1 სანტოსი (45)

| | |
|---|---|
| ბათუმი: სომხიშვილი (ბექთაშევი 75), გალოგრე, ხოხონიშვილი, უ. ლობჟანიძე, კ. შალამბერიძე (კერესელიძე 55), ნერგაძე, ცანავა, ბეჟანიძე, დარჩიძე, მაკარიანი (დემურაძე 39), ვ. კვარაცხელია; სათადარიგონი: ფარტენაძე; ტუღუში, ა. ბაჯელიძე, ბაციკაძე; მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე | ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, კესანი, რ. ონიანი, სანტოსი, კ. ჩხეტიანი, გ. ჭელიძე (გ. ხიდეშელი 76), ტორესი, ბ. ნოზაძე, ვიეირა (დაუშვილი 78), ფიფია (ჩოხელი 70), იონანიძე; სათადარიგონი: ჯალაღონია; დოლონაძე, ჯანელიძე, ხუმარაშვილი; მწვრთნელი: თემურ მახარაძე |

გაფრთხილება: სანტოსი (17), ლობჟანიძე (26), ვიეირა (27)

მსაჯები: ლ. სილაგავა; ლ. მიქელაძე, ზ. ჯვარიძე; ვ. ელისაბედაშვილი

დამკვირვებელი: ა. დურსუნიში; დელეგატი: მ. ნორაკიძე

**ბურთი,** იცოცხლეთ, მრგვალია და ფეხბურთში ყველაფერი ხდება, მაგრამ „ბათუმის“ ფინალში გასვლა ყველასთვის ზღაპარი იყო. ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა ამირან გოგიტიძემაც კი მხოლოდ ერთი თავდამსხმელი, ვახტანგ კვარაცხელია ათამაშა. გუნდი მოსაგებად თუ გაგყავს, თან სტუმრად ოთხი ბურთის სხვაობით დამარცხდი, კინკილა ფორვარდით რას გახდები...

თავს არც ზესტაფონელები იკლავდნენ შეტევებით, თუმც მათი მეტოქეზე აღმატება კარგად ჩანდა. ბრაზილიელმა ვიეირამ რამდენჯერმე მართლაც ბრაზილიურად ითამაშა, ფიფია კი, რომლისგანაც მეტს ველოდით, ინერტული იყო.

მასპინძელთაგან დარჩიძე გამოირჩეოდა, რამდენჯერმე კარგი შეტევაც წამოიწყო, მაგრამ... მატჩის დასაწყისში ვიტალიმ მეტოქე ჩამოიშორა და კვარაცხელია მოძებნა, მანაც ურიგოდ არ დაარტყა, მაგრამ ბურთს იონანიძე ჩაუწვა.

ეს იყო და ეს, მეტი ბათუმელებმა ვერაფერი შეძლეს. სტუმრები კი ბურთს აგორებდნენ და თანდათან უახლოვდებოდნენ ფინალს. გულშემატკივრები კი ბრაზილიელთა ქართული მეტყველებით ერთობოდნენ.

ტაიმის ბოლოსკენ ზესტაფონელებმა ტემპს უმატეს. ვიეირამ მოედნის ცენტრში მიიღო ბურთი, ფლანგზე უპრობლემოდ ჩაირბინა და საჯარიმოში ლობჟანიძე გადაელობა. ბრაზილიელმა მცველი ჩამოიტოვა, ის კი მაისურაზე ჩაებღაუჭა, ვიეირამ წინ წაწევა ვერ მოახერხა, ამასობაში სომხიშვილი ფეხებში ჩაუხტა და ბურთი წაართვა. ვიეირა წაიქცა, ყველას თერთმეტმეტრიანი ეგონა, მაგრამ ლაშა სილაგავას სასტვენი დუმდა. ლეგიონერმა მსაჯის გადაწყვეტილება კი გააპროტესტა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ამ ეპიზოდის შემდეგ უხეშობამ იმატა და მსაჯმა ორი ზესტაფონელი გააყვითლა.

45-ე წუთზე კი ბათუმელთა ფინალში გასვლის მირაჟიც გაქრა. ფიფიამ კუთხური ჩააწოდა, ყველაზე მაღლა სანტოსი ახტა და თავურით ორმატჩა ანგარიში ხუთით ნული გახადა.

იყო კიდევ ორი სახიფათო ეპიზოდი, ორივე სტუმართა კართან და ორივეჯერ მეკარე კვასხვაძემ ივარგა: ჯერ კვარაცხელიას თავური გააუვნებელყო მეორე ტაიმის დასაწყისში, მერე კი, მატჩის ბოლოს, კერესელიძის დარტყმული ბურთიც მოიხელთა.

# კამპანია კომპანიით



**ნოდარ ახალკაცი** და მისი გუნდი აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიაში არიან. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფედერაციის სხვა ხელმძღვანელებთან და ეროვნული ნაკრების მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერთან ერთად სამეგრელოში გახლდათ. სტუმრებმა ზუგდიდის „მგლების“ ბაზა დაათვალიერეს და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ ზაზა გოროზიას შეხვდნენ.

„ეს არა მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიაა. ადრეც გვქონდა მსგავსი შეხვედრები რეგიონებში და არჩევნების შემდეგაც გვექნება“ — გვითხრა ახალკაცის წინასაარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა, სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ.

ახალკაცი, მოგეხსენებათ, წინასაარჩევნოდ 12-მა სუბიექტმა წარადგინა. ქავთარაძემ გვითხრა, 4 მაისამდე ჯერაც დროა და კიდევ გამოგვიჩნდებიან მხარდამჭერებიო.

ამასობაში კი ფედერაციის პრეზიდენტობის ჯერაც არაოფიციალური კანდიდატი მამუკა კვარაცხელია საბუთებს აგროვებს და დღეს-ხვალ ოფიციალურად აპირებს თავისი კანდიდატურის წარდგენას.

**ლუკა თალაკვაძე**

# გლუნჩაძე-ხუციშვილი გაარჩიეს. ერთმანეთისგანაც



**ბოლო** ტურის „დინამო“ — „მერანის“ მატჩში სტუმართა მეკარე კახა გლუნჩაძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მასპინძელთა ფორვარდ მიხეილ ხუციშვილს, წუთი-წუთნახევარი ფეხბურთელთა გაშველებას დასჭირდა და მსაჯმაც ორივე მოთამაშე მინდვრიდან გააძევა.

გლუნჩაძე-ხუციშვილის ინციდენტი გუშინ ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო-ტექნიკურმა კომიტეტმა გაარჩია და ვერდიქტიც გამოიტანა: გლუნჩაძე ოთხ თამაშს გამოტოვებს და 500 ლარს გადაიხდის, ხუციშვილს კი ორმატჩიანი უქმობა და 200-ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს.

**ილია ნანობაშვილი**


დაესწარი უმაღლესი ლიგის თამაშებს

გამოიცანი თერთმეტი მატჩი

მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში

ჯეკპოტი გახდა 3000 ლარი!!!

ჩვენი მიზანი თქვენი მოგებაა!

გილეთის ფასი 2 ლარი



აქსისი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საინფორმაციო მხარდაჭერა

ოლიმპი

სარბიელი


05.05.2007 - 23-ე ტურის გათამაშების ცხრილი

| | |
|---|---|
| ჩიხურა-ბორჯომი | კახეთი-სიონი |
| ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ) | მალაროელი-გაგრა |
| ოლიმპი-დინამო (თბ) | ზენიტი-კრილია სოვეტოვი |
| მერანი-დილა | მილანი-ფიორენტინა |
| ლოკომოტივი-ამერი | სპარტაკი (მოს)-რუბინი |
| ზესტაფონი-ტორპედო | |

# მილოშ კრშკო:

## უცნაურად მიჯრილ თანხმოვანთა საცნაური თანხმოვანება

# მინ-დვრე-ბი!



ფაქტია, რომ ჩემპიონატის მეორე წრეში „დინამოს“ დაცვის ხაზი წინანდელთან შედარებით სოლიდურად გამოიყურება. მიზეზის საძიებლად შორს წასვლა საჭირო არ არის — „დინამომ“ მაღალი კლასის გამოცდილი მცველები დაიმატა. ოღონდაც თავად დინამოელებს დასჭირდათ მათი შორს მოძებნა. მილოშ კრშკო სლოვაკეთში ნახეს, ნედ ზელიჩი კი ავსტრალიელია. უხმეს და მათაც გაუმართლეს, ხოლო ის ფაქტი, რომ საქართველოს ჩემპიონატში გამოცდილი უცხოელი ფეხბურთელები გამოჩნდნენ, არა მხოლოდ „დინამოსთვის“, ზოგადად ჩვენი ფეხბურთისთვის უსარგებლო არ უნდა იყოს.

„დინამოს“ ლეგიონერ მცველებს სეზონის ალბათ მთავარი გამოცდა კი 5 მაისს ელით, როდესაც ფაქტობრივად საჩემპიონო მატჩში რუსთავის „ოლიმპს“ შეხვდებიან — ჩემპიონატის ლიდერს და ყველაზე მეტი გოლის გამტანს.

მილოშ კრშკოს გუშინ რომ შევეხმიანეთ, პირველი კითხვა, ბუნებრივია, „ოლიმპთან“ მოახლოვებულ თამაშს ეხებოდა...

— „დინამოს“ საჩემპიონო შანსით დავიწყოთ...

— შანსი, რა თქმა უნდა, გვაქვს და ძალიან კარგიც. ამ თვალსაზრისით მთავარი მატჩი შაბათს გველის „ოლიმპთან“. ვფიქრობ, „დინამოს“ მოგება შეუძლია და მაშინ ფავორიტები ჩვენ გავხდებით. თუმც არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ოლიმპთან“ მატჩის მერე კიდევ სამი ტურია, რომლებშიც ასევე აუცილებლად მოგება გვჭირდება.

— **ძნელი წარმოსადგენია, რომ „დინამომ“ რომელიმე ევროთასის საგზური ვერ მოიპოვოს. იქ რისი იმედი უნდა ჰქონდეს გუნდს?**

— ასეთ მაგალითს გავიხსენებ: „ბრნოში“ თამაშისას ინტერტოტოზე სამი ეტაპი გავიარეთ და ბოლოს „ვილიარეალთან“ დავმარცხდით მინიმალური სხვაობით. „ბრნოს“ ევროპაში არავინ იცნობდა, ძლიერ გუნდადაც არ თვლიდნენ, მაგრამ ევროთასზე შედეგს მაინც მიაღწია. იმის თქმა მინდა, რომ თუ „ბრნოს“ შეუძლია ევროთასზე რიგიანად თამაში, „დინამოს“ მით უფრო შეუძლია. რა თქმა უნდა, წილისყრის შედეგებზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, პირველი ეტაპიდან არ გავვარდებით.

— **„დინამოს“ სუსტი მხარეები რა არის?**

— ჩვენთან ყველა რგოლი ძლიერია და თუ მაინც სისუსტეებზე მიდგა საქმე, ალბათ, საგოლე მომენტების რეალიზაციაა. ყოველ მატჩში უამრავ მომენტს ვქმნით, მაგრამ მათგან ბევრს ვერ ვიყენებთ.

— **საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე მეტად რომელი თავდამსხმელის წინააღმდეგ გაგიჭირდა თამაში?**

— ამერელმა რატი წინამძღვრიშვილმა ბევრი პრობლემა შემიქმნა, ძალიან კარგი, მოძრავი ფორვარდია. რაც მთავარია, ის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა ანუ დიდი პერსპექტივა აქვს და ვფიქრობ, კიდევ მნიშვნელოვნად მოუმატებს. საუკეთესო თავდამსხმელი კი, ჩემი აზრით, ჩვენი სანდრო იაშვილია.

— **ზოგადად ქართულ ფეხბურთსა და საქართველოს ჩემპიონატზე რომ ვისაუბროთ, მთავარ პრობლემად რას მიიჩნევ?**

— პირველ რიგში, მოედნების ხარისხს. საქართველოში სულ ორი თუ სამი მოედანია, სადაც თამაში შეიძლება. ჩემპიონატში ბევრი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ვერ წარმოიდგენია, ცუდ მოედნებზე თავისი შესაძლებლობები როგორ უნდა აჩვენონ და კლასი როგორ უნდა აიმაღლონ.

— **დადებითი რა შენიშნე?**

— ისევ და ისევ ის, რომ საქართველოში ბევრი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მათ ნორმალური პირობები სჭირდებათ.

— **საქართველოში ცხოვრებას როგორ შეეგუე?**

— ძალიან კარგად, პრობლემები არ მაქვს. ერთადერთი, რაც დისკომფორტს მიქმნის, ოჯახისგან შორს ყოფნაა. ჩემები ძალიან მენატრებიან. დაგეგმილი მაქვს, რომ ჩემი შვილი ზაფხულში აქ ჩამოვიყვანო. აი, მაშინ კი ბოლომდე კმაყოფილი ვიქნები.

— **თავისუფალ დროს რას აკეთებ?**

— ქალაქში ვსეირნობ, ეკლესიაში დავდივარ, ტელევიზორს ვუყურებ ხოლმე. ბევრ დროს ვატარებ ნედ ზელიჩთან და ილია სპასოევიჩთან ერთად.

— **სლოვაკეთის ნაკრებში რომ მიგიწვიონ, არ გაგვიკვირდება...**

— ძალიან მწყდება გული, ნაკრებში რომ ვერ ვითამაშე. თავის დროზე კარგი შანსი მქონდა, მაგრამ ტრავმამ ყველაფერი არია. ფეხბურთელს იმ დროს სჭირდება ყველაზე დიდი მხარდაჭერა, როცა დაშავებულია, მე კი სწორედ ეს მხარდაჭერა მაკლდა.

**კობა ინასარიძე**

# თვალი თვალი



ეს არც ნაფრონტალი სტალინგრადის მიწაა, არც დაბომბილი ჰიროსიმასი და არც თალიბანური ავღანეთისა. საჩხერის სტადიონის მოედანია მშვიდობიანობის ჟამს. რამდენიმე წუთში აქ საქართველოს ჩემპიონატის მატჩი უნდა დაიწყოს...

და ვინც იტყვის, რომ აქ ფეხბურთის თამაში შეიძლება, პირველი ბელტი იმან გვესროლოს.



# ლევან კობიაშვილი: ვიცი, რატომ და ვიცი, როდის

**ბუნდესლიგის დასრულებამდე სამი ტურიღა რჩება და ლევან კობიაშვილის „შალკეს“ კბილებით უჭირავს პირველი ადგილი. პარასკევს „ხუმარებმა“ ბოხუმში წააგეს, მაგრამ მათ ბედად, „ვერდერმაც“ დათმო თამაში „არმინიასთან“. კიდევ ერთი „მაგრამ“ კი „შტუტგარტია“, რომელმაც „შალკესა“ და „ვერდერის“ „გულუხვობით“ ისარგებლა და მეორე საფეხურზე წამოიჭიმა — კობიაშვილის გუნდი ერთი ქულით უსწრებს შტუტგარტელებს. წლების განმავლობაში „შალკეს“ ძირითადი შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა და ერთ-ერთი იშვიათი ფეხბურთელი, ვისაც ძირითადში მოხვედრის პრობლემა არასოდეს ჰქონია, კობიაშვილი იყო. ბოლო ტურებში კი გელზენკირხენელთა თავკაცი მირკო სლომკა ლევანს მხოლოდ შეცვლებზე ათამაშებს...**

— მწვრთნელმა, გულშემატკივრებმა, თანაგუნდელებმა და პირადად მეც კარგად ვიცით, რატომ არ ვთამაშობ ძირითადში — ფორმაში არ ვარ. ზამთრის აქეთ ისე აეწყო, რომ პირველივე თამაშში ტრავმა მივიღე, რის გამოც ხუთი მატჩი გამიცდა. მერე ტკივილები მახსენებდა თავს და ყოველ კვირაში ორი ან სამი დღე ვერ ვვარჯიშობდი ხოლმე. დღესაც ასეთ მდგომარეობაში ვარ, მაგრამ მადლობა ღმერთს, ოდნავ უკეთესად ვგრძნობ თავს, ვიდრე სამ-ოთხი კვირის წინ.

**— ბუნდესლიგის დასრულებამდე ცოტაღა დარჩა... იმედი გაქვს, რომ მომავალ სეზონში ძირითადს დაუბრუნდები?**

— რა თქმა უნდა. საგანგაშო არაფერი მაქვს, ტრავმიანი პერიოდი და ფორმიდან ამოვარდნა ლამის ყველა ფეხბურთელის კარიერაშია. თორმეტი წელიწადია, პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და მწვრთნელის ყველა გადაწყვეტილებას გაგებით ვეკიდები. არც იმაზე ვტირი, რატომ არ ვარ ფორმაში — ვიცი, რომ ეს დროებითია.

**— „შალკეს“ ძირითადში თურქი იოზილი დამკვიდრდა, თუმც „ბოხუმთან“ თამაშის მიხედვით, ის სხვა პოზიციაზე თამაშობს...**

— ასეა. იოზილი მარცხენა გარემარბია, ეს კი ჩემი პოზიცია არაა. ჩემს ადგილას ფაბიან ერნსტი და ჰამიტ ალტინტოპი უფრო თამაშობენ, მაგრამ აკი ვამბობ, იმხელა კონკურენცია არაა, რომ ძირითადში დაბრუნება გამიჭირდეს.

**— „ბოხუმთან“ შეცვლაზე რომ შეხვედი, ჯერ საყრდენი ნახევარმცველი იყავი, შემდეგ კი უკანა მცველის პოზიციაზე გადახვედი.**

— ბოლო ხუთი-ათი წუთი მცველად დავდექი, რადგან ჩვენი ცენტრალური მცველები თავით კარგად თამაშობენ, წინ წავიდნენ და უკან ხომ ვინმე უნდა დარჩენილიყო. მე და კრისტიან პანდერს გვევალებოდა შეტევების დაწყება და მაღალი ჩაწოდებები.

**— წლევანდელი ბუნდესლიგა ცოტა უცნაურად მიმდინარეობს, ბოლო ტურებში ლიდერი და აუტსაიდერი აღარ გაირჩევა, თქვენც და „ვერდერმაც“ ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფ გუნდებთან წააგეთ.**

— სატურნირო ცხრილი ძალიან ჩახლართულია. ერთადერთი გუნდი, რომელსაც მოტივაცია არ შერჩა, „ბაიერნია“. 11 გუნდს გავარდნის საფრთხე ემუქრება და ბუნებრივია, სულაც არ აინტერესებთ, ლიდერს ხვდებიან თუ აუტსაიდერს. თავს იკლავენ, ისე თამაშობენ.

**— „ბაიერნი“ ახსენე და, რატომ დაუძლურდა გერმანიის უპირველესი გრანდი?..**

— „ბაიერნში“ სამ-ოთხი ისეთი ფეხბურთელია, რომლებმაც კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი თქვეს, კლუბი კი მათ დაყოლიებას ცდილობს და ვერ ახერხებს. მოკლედ, „ბაიერნის“ შიდა სამზარეულოშია პრობლემები, მწვრთნელის შეცვლამაც ვერაფერი უშველათ.

**— „შალკე“ ლიდერია და ჩემპიონობის ბედი თქვენ ხელშია. დარჩენილ კალენდარზე რას იტყოდი, თითქოს არცთუ ძნელი თამაშები გელით...**

— სამი მატჩიდან ორი შინ გვაქვს, ისევე, როგორც „ვერდერსა“ და „შტუტგარტს“. ჩვენი მეტოქეების ძალის გათვალისწინებით, თითქოს სამივე თამაში უნდა მოვიგოთ და ვნახოთ... ისე, „შტუტგარტი“ უფრო ძლიერად თამაშობს, ვიდრე ჩვენ და „ვერდერი“ — მათ თითქოს მეორე სუნქთვა გაეხსნათ, ჩვენ კი პატარა კრიზისი გვაქვს.

**— ბოლოს ლევან ყენიაზე გკითხავ: როგორც ვიცით, მისით „შალკეა“ დაინტერესებული და შენ უკეთ გეცოდინება...**

— დიახ, რაღაც საუბრები არის ამაზე. „შალკე“ დაინტერესებულია ყენიათი და მისი თამაშების ნახვას აპირებენ. ჯერჯერობით მხოლოდ ეს ვიცი.

**ილია ნანობაშვილი**

# ტრანსფერზე ლაპარაკით დავიღალე

## კახა კალაძე: ჯანზე ვარ და ფინალი მინდა



**კახა კალაძე** სეზონის დასრულების შემდეგ „მილანს“ აუცილებლად დატოვებსო, წერს ერთ-ერთი ინგლისური ვებგვერდი. ეს ინფორმაცია ამასწინათ იტალიელებმაც გაავრცელეს, საქართველოს ნაკრების კაპიტნის შეძენა „ჩელსის“, „ბარსელონას“ და „ბაიერნს“ სურთ, თუმც ამ ბრძოლაში ფავორიტი ლონდონური კლუბიაო.

გუშინ კალაძეს რომ დავუკავშირდით და ტრანსფერზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, ასეთი რამ გვითხრა: „ეს პირველი სეზონი არაა, „მილანიდან“ ჩემ წასვლაზე რომ ლაპარაკობენ და დავიღალე უკვე. მილანელებთან 2011 წლამდე მაქვს კონტრაქტი და, ასეც რომ არ იყოს, არც ერთი კლუბი არ დამკავშირებია.“

და დღევანდელი „მილანი“ — „მანჩესტერი“: აბა, კახას ამ თამაშზე როგორ არ ვკითხავდით... ბოლო დროს ჩვენიანი იშვიათადღა თამაშობს „როსონერის“ ძირითადში, თუმცგუშინ გვითხრა, სავარაუდოდ, „მანჩესტერთან“ ვითამაშებო.

„ჯანზე ვარ და ალბათ კარლო ანჩელოტი ძირითადში დამაყენებს. კარგი შანსი გვაქვს, კიდევ ერთხელ გავიდეთ ფინალში. დაძაბული ბრძოლა რომ იქნება, რად უნდა ლაპარაკი, მაგრამ შინ ვთამაშობთ და ამ მხრივ უპირატესობა გვაქვს.“

**ილია ნანობაშვილი**

# ასათიანმა თასი ჩაიფიქრა



**დღეს** რუსეთის თასის ნახევარფინალში „ლოკომოტივ“ — „სპარტაკის“ ჯახია. რუსეთში მოთამაშე ქართველთაგან თასის მოპოვების შანსი მხოლოდ ლოკომოტიველ მალხაზ ასათიანს დარჩა. თუმც მალხაზმა ტრავმა ახლახან მოიშუშა, ჯერ მხოლოდ ვარჯიშებით იტვირთება და ამ მატჩის გამოტოვება მოუწევს. ასათიანი იმედოვნებს, რომ ფინალში თამაშს აუცილებლად შეძლებს.

„საწყენია, რომ გუნდს ვერ ვეხმარები, მაგრამ იმედი მაქვს, ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ და გავლენ ფინალში, სადაც მეც შევეშველები. „სპარტაკი“ კარგ ფეხბურთს თამაშობს, ბევრი ახალგაზრდა და სწრაფი ფეხბურთელი ჰყავს. მძიმე, მაგრამ სანახავად კარგი თამაში იქნება. პირველ მატჩს შინ ვთამაშობთ, ამიტომ იმდენი უნდა გავიტანოთ, რომ მეორე შეხვედრისას საქმე ფინალამდე მივიყვანოთ. რუსეთის ჩემპიონი უკვე ვარ და ახლა თასის მოგებაც მსურს“ — უთხრა ჟურნალისტებს ასათიანმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართველების მეორე სომხური

**გუშინ** სომხეთის თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩს „პიუნიკსა“ და „არარატს“ შორის ქართველ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურა — მთავარ მსაჯს, ფიფას არბიტრ ლევან კვარაცხელიას ფიფას ასისტენტები გურამ ჩიგოგიძე და მამუკა ელიკაშვილი ეხმარებოდნენ. შეხვედრა 1:1 დასრულდა და ფინალში პირველი მატჩის 1:0 მომგები „არარატი“ გავიდა.

შეგახსენებთ, რომ ქართველი მსაჯები სომხებმა პირველად სწორედ ამ გუნდების წინა თამაშისთვის მიიწვიეს. მაშინ მთავარი არბიტრი ლევან ფანიაშვილი იყო, ასისტენტები კი ისევ გურამ ჩიგოგიძე და მამუკა ელიკაშვილი.

# თარხნიშვილის თარხან-შვიდი

**სათვალავი აგვერია!** ტირასპოლის „შერიფი“ გუშინ მეშვიდედ გახდა მოლდოვის ჩემპიონი და გუშინვე „შერიფის“ ქართველმა კაპიტანმა ვაჟა თარხნიშვილმა მეშვიდედ აღმართა ჩემპიონის თასი. „შერიფმა“ არგენტინელი ლეგიონერის, ოსკარ დემალდეს მიერ 24-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლით დაამარცხა კიშინიოვის „ნისტრუ“ და უძლიერესის ტიტული ჩემპიონატის დასრულებამდე 4 ტურით ადრე გაინაღდა: უახლოეს მდევარ კიშინიოვის „ზიმბრუს“ 59 ქულა აქვს, „შერიფს“ 76 და დარჩენილი ტურების შეხვედრებში „ზიმბრუმ“ ყველაში რომც იმარჯვოს, თარხნიშვილის გუნდს მაინც ვერ დაეწევა.

**გიორგი ვაშაკიძე**


**იყიდება**

6 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ნუცუბიძის IV მ/რ ახლოს, სოფელ-აგარაკთან, მუხათწყაროს გზის ნაპირზე.

ფასი შეთანხმებით. ტელ: 893 42-74-94

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
### ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი. დღეს

მილანი. „სან სირო“. 22:45 საათი

**მილანი (იტალია) — მანჩესტერი (ინგლისი) (2:3)**

სავარაუდო შემადგენლობები:

მილანი: დიდა — ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი — გატუზო, პირლო, ამბროზინი — ზეედორფი — კაკა , ინძაგი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

მანჩესტერი: ვან დერ სარი — ოში, ფერდინანდი, ბრაუნი, ჰაინცე — ფლეტჩერი, კარიკი, სქოულზი — რონალდუ, რუნი, გიგზი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

დისკვალიფიცირებულნი:

მილანი: *არავინ*; მანჩესტერი: *პატრის ევრა*

ურთიერთშეხვედრები:

| | | |
|---|---|---|
| 08.05.1958 | ჩემპიონთა თასი. 1/2 ფინალი | მანჩესტერი 2:1 მილანი |
| 14.05.1958 | ჩემპიონთა თასი. 1/2 ფინალი | მილანი 4:0 მანჩესტერი |
| 23.04.1969 | ჩემპიონთა თასი. 1/2 ფინალი | მილანი 2:0 მანჩესტერი |
| 15.05.1969 | ჩემპიონთა თასი. 1/2 ფინალი | მანჩესტერი 1:0 მილანი |
| 23.02.2005 | ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი | მანჩესტერი 0:1 მილანი |
| 08.03.2005 | ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი | მილანი 1:0 მანჩესტერი |
| 24.04.2007 | ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი | მანჩესტერი 3:2 მილანი |


ვინ გაიტანს საფინალოს?

AFP

# მილანმა სან სირო ოლდ ტრაფორდით დაქოქა

**ჩემპიონთა** ლიგის მთავარმეგოლე კაკა იმედოვნებს, რომ „მილანის“ ფანები მე-12 მოთამაშის როლში იქნებიან და „შავწითლებს“ „მანჩესტერის“ ძლევაში დაეხმარებიან:

— „ოლდ ტრაფორდზე“ საუცხოო სპექტაკლი გამოვიდა და დარწმუნებული ვარ, „სან სიროზე“ არანაკლები სანახაობა გაიმართება, ეგებ უკეთესიც. „მანჩესტერის“ ქომაგებმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს. მათი გუნდი პირველი ტაიმის შემდეგ აგებდა, მაგრამ გულშემატკივრები მაინც მღეროდნენ და ფეხბურთელებს ამხნევებდნენ. მჯერა, რომ ჩვენი ფანებიც ასევე დაგვიდგებიან გვერდით. მართალია, მთლად კარგი სეზონი არ გვქონდა, თუმც ქომაგებს „მილანისთვის“ ზურგი არასოდეს შეუქცევიათ. „ოლდ ტრაფორდიდან“ ცოტა გულგატეხილები წამოვედით ბოლოს გაშვებული გოლის გამო, მაგრამ თავი არ დაგვიხრია. 2:2-იც რომ დამთავრებულიყო, ახლა მაინც იმას ვიფიქრებდი, რომ მთა გვაქვს გადასავლელი, თუმცა სტუმრად გატანილი გოლები ძალიან მნიშვნელოვანია. პირველი მატჩის წაგება სამყაროს დასასრული არაა და მწამს, „სან სიროზე“ გამარჯვების დიდი შანსი გვექნება. „მანჩესტერი“ ახალგაზრდული და ძლიერი გუნდია. კონტრშეტევებზე კარგად თამაშობს, რადგან ძალიან სწრაფი ფორვარდები ჰყავს, მაგრამ ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც მიუნხენში „ბაიერნთან“.

კარლო ანჩელოტიც კაკასავით „ბაიერნთან“ მოგებულ მატჩს იხსენებს: „ჩვენი მებრძოლი სული მიუნხენშიც გამოჩნდა. იმ რთული თამაშის წინ ნახევარფინალში გასვლა გვინდოდა და მოვახერხეთ, ახლა კი ფინალზე ვფიქრობთ. მერვედფინალიდან მეტოქე უფრო და უფრო ძლიერდება, ბარიერი მაღლა იწევს და ამიტომ თამაშის ხარისხიც ყოველ მომდევნო შეხვედრაში უნდა გაუმჯობესდეს. ამჯერად ის კი არ მაღელვებს, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან შეცდომები, არამედ ის, როგორ ვითამაშოთ უკეთ, ვიდრე მანჩესტერში. მთავარია, სადავეები მეტოქეს, სულ მცირე ხნითაც კი არ ჩავუგდოთ ხელში. მთელი მატჩი ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც პირველი ტაიმი „ოლდ ტრაფორდზე“. ვიმედოვნებ, რომ პაოლო მალდინი მომჯობინდება. მისი გამოცდილება „მილანისთვის“ ძალიან ბევრს ნიშნავს. უპირველესად სიმშვიდე და მოთმინება გვჭირდება. უკანმოუხედავად შეტევას არ ვაპირებთ.“

მანჩესტერულ მატჩში დაშვებული და შეცვლილი ჯენარო გატუზო გამოკეთდა და დღეს ითამაშებს.

„ჩვენ იტალიური ფეხბურთის და „მილანის“ ღირსება უნდა დავიცვათ. ბოლო ხუთ წელიწადში მეოთხედ ვართ ნახევარფინალში და ეს ჩვენი გუნდის სიძლიერეზე მიუთითებს. თან არ დაგავიწყდეთ, როგორი სეზონი გვქონდა კალჩოპოლის გამო და აქამდე რომ მოვედით, უკვე სასწაულის ტოლია“ — თქვა გატუზომ.

მასიმო ოდო კი უეინ რუნის უფრო უფრთხის, ვიდრე კრიშტიანუ რონალდუს: „პირველი მატჩის წინ ყველა რონალდუზე ლაპარაკობდა, მაგრამ რუნი უფრო მაგარი მგონია. ძალიან სწრაფია და ნებისმიერ მომენტში შეუძლია მოულოდნელად კარში დარტყმა. „ოლდ ტრაფორდზე“ პირადად მას ვმეურვეობდი, მაგრამ ის იყო სხვებზე მეტად სახიფათო. ცხადია, რონალდუ ფანტასტიკურია თავისი ეშმაკობით და სისწრაფეში ბურთის ტარებით. ძალიან ძნელია მის წინააღმდეგ თამაში, რადგან ორივე ფეხი კარგად უჭრის. სანამ მოძრაობას დაიწყებს, მანამდე უნდა მოასწრო და დაუდგე, თორემ აუცილებლად გაგექცევა. ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, „სან სიროზე“ დიდებული განწყობა იქნება. ჩვენ ქომაგებისთვის საგანგებო მოწოდება არ გვჭირდება. ისინი თავიანთ საქმეს ფრიადზე შეასრულებენ“.

ალექს ფერგიუსონი: „ვერ ვიტყვი, რომ ფავორიტები ვართ, მაგრამ ფინალში გასვლის კარგი შანსი გვაქვს. „მილანს“ ევროთასებზე გამოცდილება უმაგრებს ზურგს, თუმც ჩვენც არ ვართ ახალბედები. ისევე, როგორც „ოლდ ტრაფორდზე“, არ გამოვრიცხავ, რომ აქაც გაგვიტანონ გოლი, მაგრამ „მანჩესტერიც“ საუცხოოდ უტევს და გოლების გატანა არ ესწავლება. „ბენფიკასთან“ და „ლილთან“ სტუმრად ცუდად ვითამაშეთ და 1:0 მოვიგეთ, მაგრამ ამჯერად მსგავსი თამაშით ფონს ვერ გავალთ. სასიხარულო ისაა, რომ ერთბურთიანი უპირატესობა გვაქვს.“

პოლ სქოულზმა „ოლდ ტრაფორდზე“ ყვითელი ბარათი მიიღო. „სან სიროზეც“ თუ გააფრთხილეს, ფინალში „მანჩესტერის“ გასვლის შემთხვევაში, ათენში ვერ ითამაშებს. იგივე მოხდა 1999 წელს, როცა ყვითლების გამო სქოულზმა „ბაიერნთან“ მოგებული ფინალი გამოტოვა. ამაზე ფერგიუსონმა განაცხადა: „ყველა ფეხბურთელმა უპირველესად გუნდზე უნდა იფიქროს და ამდენად, პოლსაც სიფრთხილე მართებს. მანჩესტერული მატჩის წინაც ვურჩიეთ, რომ დადინჯებულიყო, რადგან ჩემპიონთა ლიგაში მსაჯობა პრემიერლიგისგან განსხვავებულია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყვითელი ბარათის შიშით ფეხბურთელს უხეშობის ზღვარზე თამაში ავუკრძალო.“

ალექს ფერგიუსონს ძალიან ეიმედება რიო ფერდინანდისა, რომელიც, შესაძლოა, საამატჩოდ გამოკეთდეს. კარლო ანჩელოტი კი ალბათ ძირითად შემადგენლობაში ალბერტო ჯილარდინოს ნაცვლად ფილიპო ინძაგის დააყენებს. ჯილარდინომ „ოლდ ტრაფორდს“ ვერაფრით დაამახსოვრა თავი.

**ვაჟა ხუციშვილი**


ალექს ფერგიუსონი ერთბურთიანი უპირატესობით კმაყოფილია

AFP


მანჩესტერული მატჩის ანტიგმირი კრისტიან ბროკი და ერთ-ერთი გმირი კაკა

# ნუ შეწუხდებით, მიუნხენელებო
## ვან დერ ვაარტს ბაიერნი არ აინტერესებს

**გერმანული „ჰამბურგის“ ჰოლანდიელმა კაპიტანმა რაფაელ ვან დერ ვაარტმა განაცხადა, რომ ამ ზაფხულში მიუნხენის „ბაიერნში“ არავითარ შემთხვევაში არ გადავა. ვან დერ ვაარტი ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და მას დიდი ხანია, ბობოლა კლუბები ეპატიჟებიან, თუმცა ჰოლანდიელი გამთამაშებელი ჯერჯერობით არ ჩქარობს. რაფას გერმანული „ველტი“ ესაუბრა...**



— „ჰამბურგს“ მხოლოდ 39 ქულა აქვს და ბუნდესლიგაში დარჩენა ჯერაც არ გაუნაღდებია. იმედიანად ხართ?

— ერთი მხრივ, თავს ვაიძულებ, უფრო ფრთხილი ვიყო, რადგანაც ამ შეშლილ სეზონში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მეორე მხრივ, სასტვენის შემდეგ ყოველთვის თვალწინ მიდგანან ჩემი თანაგუნდელები — ულთგულესი მეგობრები. შესანიშნავია მოგების გრძნობა, რაც მძიმე თავდადებისა და შრომისგან გათავისუფლებს, რომლის წნეხის ქვეშაც ვართ ბოლო თვეების განმავლობაში. ასე იყო „ბაიერნის“ დამარცხების შემდეგაც — ჩვენ ძალიან დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ.

— გოლის შემდეგ მიუნხენის „ბაიერნის“ ფანებმაც კი დაგიკრეს ტაში. თქვენი ახალი კლუბის წინაშე თავის მოწონებას არ ცდილობდით?

— არა. უკვე გადავწყვიტე, რომ მიუნხენში არ გადავალ. ეს ჩემთვის არასოდეს ყოფილა მსჯელობის საგანი, რადგანაც „ბაიერნში“ გადასვლის არ მაინტერესებს და მესიამოვნა, ული ჰოინესის განცხადებაც, როცა თქვა, რომ არც მას აქვს ჩემი შეძენის ინტერესი.

— გოლის შემდეგ მარჯვენა ხელი იმ ადგილას რამდენჯერმე დაირტყით, სადაც კლუბის ემბლემაა ამოქარგული. ამით გინდოდათ „ჰამბურგისადმი“ თქვენი ერთგულება გეჩვენებინათ?

— გოლმა საოცრად გამახარა და მსურდა, ეს გრძნობა თანაგუნდელებისთვის ბოლომდე გამეზიარებინა. ამით ისიც ვაჩვენე ყველას, რომ „ჰამბურგში“ თამაშით ბედნიერი ვარ. მე ჰამბურგელი ვარ და ვფიქრობ, ჰამბურგელადვე დავრჩები.

— „ჰამბურგში“ დარჩენა გადაწყვეტილი გაქვთ?

— არ შემიძლია გითხრათ, რომ ეს ასი პროცენტითაა გადაწყვეტილი. რა თქმა უნდა, მაქვს ოცნებები — რა მოხდება, „ბარსელონამ“, „რეალმა“ ან „ვალენსიამ“ კარგი წინადადება შემომთავაზონ?! თუმცა ფაქტია: „ჰამბურგში“ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და სიამოვნებით დავრჩებოდი აქ.

— კლუბის თავკაცებმა თქვენ იმ მოთამაშედ დაგასახელეს, რომელიც არ იყიდება. ანუ უნდა ვივარაუდოთ, რომ 2010 წლამდე დადებულ კონტრაქტს გაახანგრძლივებთ?

— მე მათ ნდობას ვგრძნობ, რაც მშვენიერია. ალბათ ზაფხულში შევძლებთ ყველაფერზე დალაპარაკებას.

— დარჩენილ სამ ტურში რას უნდა ველოდოთ?

— თუ კვირას შინ „ბოხუმი“ მოვუგებთ, მაშინ დიდი შანსი იქნება, მეშვიდე ადგილზე გავიდეთ — ამ უმძიმეს სეზონში ეს შესანიშნავი შედეგი იქნება ჩვენთვის.



# შევას აუჯ გარაჟი

**გარაჟი** ვის არ აუშენებია, მაგრამ ანდრეი შევჩენკოსი განსაკუთრებული იქნება: არა მხოლოდ იმიტომ, რომ მილიონი გირვანქა ჯდება, არამედ იმიტომაც, რომ მანქანები იქ ისე იქნება შელაგებული, როგორც თაროებზე. დააჭერ თითს ღილაკს და რომელი მანქანაც გინდა, ის ჩამოვა.

ექვსადგილიან გარაჟში სამი პირადად შევას მანქანა იქნება, დანარჩენი ალბათ მისი ამერიკელი ცოლის, კრისტენისა. ამ გარაჟს შევა თავის 7,1 მილიონად ნაყიდ მამულში აშენებს, იმ ადგილას, რომელიც სარიში მდებარეობს და ვირჯინია ვორტისი ჰქვია. ხოლო ის მანქანები კი, რომლებიც იქ ჩადგებიან, შემდეგია: 130-ათასიანი „ბენტლი კონტინენტალ ჯითი ტურბო“, 60-ათასიანი „მერსედესი“ და 110-ათასიანი „ფერარი F360“.

ესეც გარაჟი!

**ირაკლი გამყრელიძე**
**ლონდონიდან**

# ინგლისსაც წაუღია თქვენი ათენი!



**ათენის** პოლიცია ჩემპიონთა ლიგის ფინალის დღეს გაფიცვას აპირებს. თუ ფინალი ინგლისური გამოვა, საბერძნეთის დედაქალაქს ბრიტანელ ფანთა ჯარი შეესევა და თავადაც ხვდებით, უპოლიციო ქალაქში რა მოხდება. ბერძენი სამართალდამცავები ჯამაგირის მომატებას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაფიცვით იმუქრებიან.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა ბირონ პოლიდორასმა განაცხადა: „პოლიციელებს ვთხოვე, გადაწყვეტილება შეცვალონ, მაგრამ არ ვიცი, დამიჯერებენ თუ არა. ასეთი თამაშის დღეს ხალხი დაუცველი რომ დარჩეს, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი დატრიალდება“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფულიანი ტაკსინი

**ტაილანდის** ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტაკსინ შინავატრა „მანჩესტერ სიტის“ ყიდვას აპირებს. პრემიერლიგურ კლუბს რამდენიმე ბიზნესმენი აგერ, უკვე რა ხანია, დასტრიალებს, მაგრამ შეჯიბრში ტაილანდელი ლიდერობს. შინავატრა 200 მილიონ გირვანქას გამოდის „სიტის“ სანაცვლოდ.

კიდევ ერთი მყიდველი ყოფილი სიტელი რეი რენსონია, მაგრამ მისი შანსები მცირეა.

შინავატრა შარშან სექტემბერს უსისხლო სამხედრო გადატრიალებისას გადააგდეს, რადგან კორუფციაში ადანაშაულებდნენ.

# ბუჟუმბურელი ბიჭი

**კონგოს** დემოკრატიულ რესპუბლიკას შეუძლია იამაყოს — მოჰამედ „მომო“ ტჩიტე ბელგიის იუპილერლიგის საუკეთესო აფრიკელ ფეხბურთელად დაასახელეს.

„მომო“ ბურუნდის ქალაქ ბუჟუმბურაში დაიბადა, მაგრამ კდრ-ს ნაკრების მოთამაშეა. თავიდან „პრინც ლუი ბუჟუმბურაში“ იყო, მერე კი „ვიქტორი სპორტ მუკურაში“ გადავიდა. 2003 წელს ლიეჟის „სტანდარდმა“ იყიდა და 3 სეზონში 58 მატჩში 21 გოლი გაიტანა. ამ ზამთარს „ანდერლეხტში“ გადაბარგდა და 4 გოლი მიითვალა. მეორე ადგილზე კი იუპილერლიგაში ეგვიპტელი აჰმედ ჰასანი გავიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ქორწილებია, ქორწილები!

**დაახლოებით** ერთ თვეში ინგლისში ისეთი „ვისია, ვისია“ ატყდება, თქვენი მოწონებული — ამ ქვეყნის ნაკრების ერთბაშად ოთხ ფეხბურთელს მოჰყავს ცოლი.

პირველი, ვინც ქორწინდება, ჯონ ტერია. კაპიტანი თანაგუნდელებს მაგალითს აჩვენებს და 15 ივნისს მის ტონი პულის მისის ტონი ტერიდ აქცევს.

ცნობისთვის: წყვილს უკვე ორი შვილი ჰყავს.

16 ივნისს კი კაპიტნის მაგალითს სამმა უნდა მიბაძოს... სტივენ ჯერარდის საცოლეა 23 წლის ალექს კარენი, მაიკლ კარიკისა ალექსის ტოლი ლიზა რუგჰედი, ხოლო გარი ნევილისა 24 წლის ემა ჰედფილდი.

სხვათა შორის, თავად ნევილი 32-ისაა და ერთ რაღაცაში შეცდა: ქორწილში მავანი საოპერო მომღერალი ჯონ კრისტოსი დაპატიჟა. ის კი (რას არ ამოჩხრეკენ ინგლისელი ჟურნალისტები) თურმე, ნუ იტყვით და... „მანჩესტერ სიტის“ ქომაგი ყოფილა.

მერე რა?

რა და ის, რომ ნევილი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელია, ეს გუნდები და მათი ქომაგები კი ერთმანეთს ღრენით უყურებენ.

**ბაკუნა კუდია**


ჯონ ტერი და ტონი პული


ალექს კარენი და სტივ ჯერარდი


მაიკლ კარიკი და ლიზა რუგჰედი


ემა ჰედფილდი და გარი ნევილი

# ჩვენი ცხოვრების კინო



## სკამზე გადამჯდარი კაცის ფილოსოფია: როი კინი ყველგან და ყოველთვის როი კინია!



**როი კინი** კვლავ პრემიერლიგაშია: ამჯერად, როგორც მენეჯერი, წვერგაჭაღარავებული, სერიოზული და წინსვლისთვის მზად მყოფი.

ამ უქმეებზე „სანდერლენდმა" სტივ ბრიუსის „ბირმინგემთან" ერთად პრემიერლიგის ადგილი დაიბრუნა და ამ საქმეში მთავარ გმირად სწორედ „ტყის კატების" მენეჯერი ჩანს.

როი კინმა აგვისტოში ჩაიბარა გუნდი, რომელსაც იმხანად კლუბის თავმჯდომარედ მყოფი, ასევე ირლანდიელი და ახლო წარსულის ყოფილი მოთავური, ნაილ ქუინი შეთავსებით წვრთნიდა და ბევრიც ვერაფერი გამოსდიოდა: გუნდი, წაგებულის ფსიქოლოგიით, ცხრილის ბოლოში მკვიდრდებოდა.

როდესაც ქუინმა კინი დანიშნა, თქვა, კლუბში მსოფლიო კლასის მენეჯერი მოვიყვანეო, თუმცა მაშინ ამ სიტყვებისთვის ყურადღება არავის მიუქცევია: ქუინმა კინი მოიყვანა, რითაც ისედაც ბევრი რამ იყო ნათქვამი: როი კინი დებიუტანტი იყო ამ საქმეში, მაგრამ როი კინი იყო და მისგან რაღაც ნამდვილად იქნებოდა მოსალოდნელი.

ამ მოსალოდნელთა შორის კი ყველაზე მეტად ის, რომ სულ მალე წარუმატებლობებით ნერვებმოშლილი კინი თვითგანადგურების მანქანას ჩართავდა და ამის შემდეგ სკანდალიც დაიწყებოდა.

„სტედიუმ ოფ ლაითზე" კინი ქუინმა მიიყვანა და ის იმ 25 000 გულშემატკივარს შორის იყო, რომლებიც „სანდერლენდის" მიერ „ვესტ ბრომის" ძლევას ადევნებდა თვალს. ეს აგვისტოს ბოლოს იყო, თუმცა ეს იყო „სანდერლენდის" პირველი გამარჯვება მშობლიურ კედლებში მთელი წლის განმავლობაში. მენეჯერად მოსულმა კინმა სატრანსფერო, ფანჯრის დახურვის დღეს ექვსი ახალი ფეხბურთელის მოყვანა მოასწრო. ამათ შორის, ხუთი ინგლისური და შოტლანდიური პრემიერლიგებიდან იყო, თვით დუაიტ იორკიც კი ხალისით შეუერთდა გუნდს.

„მას არ უთქვამს, გინდა თუ არა ესენი მიყიდეო — ამბობს ქუინი — და აი, ესენი გაყიდეო. შანსი ყველას მისცა, მოყვანილებსაც და შინაურებსაც".

კინის პირველ თამაშზე დერბიში გუნდს 5 ათასი ფანი გაჰყვა. „სანდერლენდმა" 2:1 მოიგო. მერე 3:0 საშინაო მატჩში, მაგრამ თითქოს ყველაფერი პირველი ლიგის ჩვეულ რიტმში ჩაერთო: მოგება, წაგება და ფრე ერთმანეთში აირია, „სანდერლენდი" შუაში იყო.

იანვარში კინმა 5 მილიონი დახარჯა ახალი ფეხბურთელების საყიდლად და გუნდის რვა მოთამაშეს წასვლის უფლება მისცა.

აქედან დაიწყო 17-მატჩიანი წაუგებელი სერიაც.

კინმა მთელი თავისი კავშირები გამოიყენა და ფეხბურთელები მოიყვანა „მანჩესტერიდან" და „სელტიკიდან". ეს ფეხბურთელები თავიანთი გუნდების ძირითადებში ვერ ხვდებოდნენ, მაგრამ კლასი ჰქონდათ. მაგალითად, ჯონი ევანსი და დენის სიმპსონი ძალიან დაეხმარნენ გუნდს.

თუმცა კინმა შინაურებსაც ბევრი რამ შეუცვალა. მარჯვენა მცველი ნირონ ნოსვორსი შეუნახევარმცველად აქცია და გუნდის წარმატების საფუძველიც, მგონი, ეს ცვლილება შეიქნა. ნოსვორსი საუცხოო გამთამაშებელი და საყრდენი გამოდგა.

კინის ხელში მთელმა მიძინებულმა გუნდმა გაიღვიძა და ისეთმა ფეხბურთელებმაც კი დაიწყეს თამაში, რომლებსაც წინსვლის გრძნობა აღარც ჰქონდათ.

როცა მოთამაშე იყო, კინი მატჩზე, როგორც ომში, ისე გადიოდა. როგორც მენეჯერი, ის სულ სხვანაირი გამოდგა: კინი თითქოს ჭადრაკს თამაშობს. ფეხბურთელებს მშვიდად და პროფესიულად ელაპარაკება და ყველაფერს დეტალურად უხსნის. მან თავისი გუნდი ერთადერთხელ გააკრიტიკა, ისიც მოგებული თამაშის შემდეგ, ხოლო ყველა მარცხისას აქებდა.

თუმცა ფეხბურთელები იოლად მიხვდნენ, რომ მასთან ღლაბუცი არ გამოვა. კინმა ერთი წუთითაც არ დააყოვნა ავტობუსი, როცა მარტონ ფულოპს და ტობი ჰისენს ოდნავ დააგვიანდათ.

საერთოდ, კიდევ, შესამჩნევია, რომ ის, რაც კინ-ფეხბურთელს ჰქონდა, ამიერიდან ყოველ მის მოთამაშეს ექნება: ჟინი და თავდაუზოგაობა. თანაც, კინის გუნდის შიდა ამბავი არასდროს მოხვედრილა პრესის ფურცლებზე: რაც გასახდელში ხდება, იქვე რჩება.

ახლა აღარავის უკვირს, რომ კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება ბრაიან კლაფისა და ალექს ფერგიუსონის ხელქვეით თამაშობდა, მენეჯერობას სულ ადვილად შეეთვისა და თანაც, მალევე შეიქნა წარმატებული. მან, უბრალოდ, იცის, როგორ გამოავლენინოს ფეხბურთელებს საუკეთესო თვისებები. თანაც, მისი გუნდი „მანჩესტერივით" ბოლო წუთებზე გოლების გატანაშია „შემჩნეული".

ნაილ ქუინი, ვისთანაც კინს ჩხუბი მოუხდა იაპონიის ჩემპიონატზე და თავის წიგნში კოხტად გამოლანძღულიც ჰყავს, ახლა აცხადებს, რომ როი თითქმის გენიოსია.

წარმატებული სეზონის შედეგი კი თავად კინისთვის ასეთია: „სანდერლენდი" ახალ, ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობს მას, რაშიც 25 მილიონ გირვანქას გადაუხდის. ესეც არ იყოს და, ის ეგებ კლუბის მეწილეც შეიქნეს.

მოკლედ, კინის ახალი ისტორია იწყება.

**ირაკლი გამყრელიძე ლონდონიდან**

# ერთი საუკუნის გარი ლინეკერი



**ინგლისის** ნაკრების ლეგენდარული ფორვარდი, 46 წლის გარი ლინეკერი ბრიტანული „ჩიპსების" სარეკლამო რგოლში გადაიღეს.

ლინეკერის სარეკლამო პარტნიორი 21 წლის მომღერალი და მსახიობი შარლოტა ჩერჩი იყო.

მოქმედება მეოცე საუკუნის ათიან წლებში ხდება, ქალბატონი ჩერჩი მდიდარი, ოღონდ მოხუცი ლინეკერის მეუღლეა და ერთ დღესაც თავის კბილა მეწისქვილესთან გაიქცევა — მათ ერთმანეთი უყვართ.

ბიჭმა ჩერჩი, რა თქმა უნდა, „ჩიპსებით" მოთაფლა და ლინეკერიც მარტო დარჩა...

რაღაცით კი ჰგავს ეს ისტორია ზოგი დიდი ფეხბურთელის ცხოვრების ბოლო წლებს...

**ბახა შალამბერიძე**

# რომ მიდიხარ, სად მიდიხარ?!

**ინგლისური** „ბოლტონი" კომპენსაციის სახით 5 მილიონ გირვანქას მიიღებს, თუ მისი ექსმწვრთნელი სემ ალარდაისი მომავალ ზაფხულს „ნიუკასლის", „მანჩესტერ სიტის" ან რომელიმე სხვა კლუბის წინადადებას დათანხმდება.

THE SUN-ის ცნობით, ცოტა ხნის წინ ალარდაისი თავისი ნებით კი გადადგა, მაგრამ კლუბთან მისი კონტრაქტი 2009 წლის ნოემბრამდე ძალაში იყო და თუ იგი მანამდე სხვა კლუბის თავკაცი გახდება, კომპენსაციის გადახდა მოუწევს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## მაიკლ ოუენი

თავდამსხმელი

დაიბადა 1979 წლის 14 დეკემბერს ჩესტერში

სიმაღლე: 1,73 მეტრი

წონა: 70 კგ

კარიერა: 1996-2004 წლები — „ლივერპული" (216 მატჩი, 118 გოლი), 2004-05 წლები — „რეალი" (35 მატჩი, 13 გოლი), 2005 წლიდან — „ნიუკასლი" (12 მატჩი, 7 გოლი)

1998 წლიდან თამაშობს ინგლისის ნაკრებში (80 მატჩი, 36 გოლი)





## JAGUAR XK8

გამოშვების თარიღი: 2005 წელი

სიგრძე: 4,760 მეტრი

სიგანე: 1,830 მეტრი

სიმაღლე: 1,295 მეტრი

წონა: 1 680 კგ

ცილინდრი: 8

ძრავის კუბატურა: 4,0

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 250 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 5,2 წამში

ფასი: 55 000 დოლარი

# უპასუხო მესიჯი ყველაფერს პასუხობს



**ბრაზილიელმა** ფორვარდმა რონალდომ „ინტერის“ გაჩემპიონება კლუბის პრეზიდენტ მასიმო მორატის მესიჯით მიულოცა და მოგვიანებით განაცხადა, პასუხი არ მიმიღიაო.

იტალიურ ჟურნალ-გაზეთებსაც მეტი რაღა უნდოდათ, ამბავი ატეხეს, მორატიმ რონალდოს მესიჯი აინუნშიც არ ჩააგდო, მისი „მილანში“ გადასვლა დღემდე ვერ მოინელაო.

**20 წლისაა თსუ-ელი ბესიკ ლეჟავა, მაგრამ ის თამამად ჩაითვლება სუპერლიგის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ. ბესო ორჯერ გახდა ტურის საუკეთესო მოთამაშე, რომელთაგან ერთხელ მხოლოდ 9 წუთი დაჰყო მოედანზე. ძალიან ძნელია, ამ მცირე დროის მანძილზე მოთამაშემ დიდი ეფექტი მოახდინოს, მაგრამ ლეჟავას იმ დღეს ყველაფერი გამოსდიოდა და პირველი მეოთხედის ბოლო წუთზე ტრავმა რომ არ მიეღო, ვინძლო ბომბარდირობის ქართული რეკორდი გამოეცხო. იმ მატჩის მთავარმექულე მაინც გახდა, სანამ ტრავმას მიიღებდა, 19 წუთში უკვე 19 ქულა ჰქონდა მოპოვებული...**



— სნაიპერული თვისებები არ გაკლია, მაგრამ გასულ ოლ სტარში სამქულიანების კონკურსში მონაწილეობა არ მიგიღია...

— ძალიან მინდოდა, მაგრამ იქ ჩემთვის ადგილი არ მოინახა. მონაწილეები ჩაგდებული სამქულიანების პროცენტებით შეარჩიეს და აღმოჩნდა, რომ მე მოწინავე ხუთეულში არ ვიყავი.

— უშუალოდ თამაშზე რას იტყვი?

— ვფიქრობ, სანახაობრივი გამოვიდა. რაც მთავარია, მაყურებელმა მრავალი ლამაზად შესრულებული ილეთი და ჩატენილი ბურთი ნახა.

— სამქულიანების კონკურსში ვის ქომაგობდი?

— ჩემი თანაგუნდელი არავინ იყო, ისე კი კოტე ტულუშმა დამსახურებულად გაიმარჯვა. ის და ფინალის მეორე მონაწილე ნოდარ ბერაიაც ძალიან კარგად ისვრიან შორიდან.

— შენ რომ მიგეღო მონაწილეობა, როგორ ფიქრობ, გაიმარჯვებდი?

— ამის თქმა ახლა ძალიან ძნელია. ყველაფერი გამართლებაზეა, გააჩნია, კონკრეტულად იმ მომენტში როგორ წაგივა სროლები. ყოფილა, რომ ვარჯიშზე ზედიზედ 30 და მეტი სამქულიანი ჩამიგდია, ხანაც ზედიზედ რამდენიმე ამიცილებია.

— ზუსტი მიზნით ალბათ ბავშვობიდანვე გამოირჩეოდი...

— როცა კალათბურთზე შევედი და იმის ძალა მომეცა, რომ სამქულიანის ნიშნულიდან კალათამდე ბურთი მიმეღწია, მიზანს არც მაშინ დამიწუნებდა ვინმე, თუმცა, ვფიქრობ, ახლა გაცილებით უკეთ ვისვრი. სხვათა შორის, მე თავიდან ფეხბურთზე შევედი და რამდენიმე დღის შემდეგ მწვრთნელმა მამაჩემს უთხრა, ჯობს, კალათბურთზე შეიყვანოთო. თავიდანვე გამოვირჩეოდი სიმაღლით და ბოლოს და ბოლოს, კალათბურთზე აღმოვჩნდი.

— შენი ძველი თანაგუნდელები — გიორგი ცინცაძე, ვიქტორ სანიკიძე, დავით საყვარელიძე — საზღვარგარეთ თამაშობენ. შენც ხომ არ აპირებ წასვლას?

— დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი საზღვარგარეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, რაიმე სერიოზული ვარიანტი არ მაქვს. შარშანწინ კი ვიყავი საფრანგეთში — „დიჟონის" ახალგაზრდულ გუნდში ერთი სეზონი ვითამაშე.

— შენი აზრით, მიზანშეწონილია ადრეულ ასაკში საზღვარგარეთ წასვლა?

— ვფიქრობ, ეს აუცილებელიცაა, რათა ახალგაზრდა ნამდვილ კალათბურთელად, პროფესიონალად ჩამოყალიბდეს. იმას რა თქმა უნდა, რომ ესპანეთში, ან თუნდაც თურქეთში, ახალგაზრდას უფრო მეტ საკალათბურთო განათლებას მისცემენ, ვიდრე საქართველოში. ჯობს, სწორედ მოზარდები წავიდნენ საზღვარგარეთ, რათა მოთამაშედ იქ ჩამოყალიბდნენ.

— ესპანეთის მაგალითი მოიყვანე და ალბათ მოგწონს პრიმერადივიზიონი...

— რა თქმა უნდა, მომწონს. ესპანეთს ევროპაში უძლიერესი ლიგა აქვს და იქ არაერთი მსოფლიო დონის ვარსკვლავი თამაშობს. ჩემი საქომაგო გუნდიც ესპანურია — მადრიდის „რეალი".

— და ნბა-ში ვის ქომაგობ?

— „მაიამის" და დუეინ ვეიდს. ჯორდანმა თქვა, ჩემამდე მოსვლის ყველაზე დიდი შანსი ვეიდს აქვსო. თანაც მე მის პოზიციაზე ვთამაშობ.

— სუპერლიგაზეც გკითხავ: მალე ნახევარფინალური სერია დაგეწყებათ...

— „ავიამშენთან" სათამაშოდ განსაკუთრებულად ვემზადებით. ყველა ძალიან მონდომებულია და ფორმაშიც ვართ. ჩვენთვის ძალიან კარგია, რომ ბოლო ოთხ შეხვედრაში „ავიამშენს" მოვუგეთ. ეს გარკვეულ ფსიქოლოგიურ უპირატესობას გვანიჭებს. თუმც ყველაფერი წინ არის და არავინ იცის, რას შემოგვთავაზებს გამოცდილი და მოქმედი ჩემპიონი „ავიამშენი". ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ და დარწმუნებული ვარ, მთლიანობაში, ძალიან საინტერესო სერია გამოვა.

**ირაკლი პერტაია**




# ბებერი ბიჭის ფიქრები

## მაგარი კაცი ვიქნები!

**პლეი ოფის** პირველი წრე აღმოსავლეთში ძალზე უფერული და უდრტვინველი გამოვიდა. აქ თითქოს გუნდები ერთმანეთს იმაში ეჯიბრებიან, ვინ მალე გავარდება. 0:4 დამარცხებულ „ორლანდოსა" და ჩემპიონ „მაიამის" (!) სულ მალე „ვაშინგტონი" გაჰყვა, რომელსაც — თავიდანვე ვამბობდით და — „კლივლენდთან" შანსის ნატამალიც არ ჰქონდა, რაკიღა ორი ოლსტარელი ჯილბერტ არენასი და კერონ ბატლერი რეგულარულ ჩემპიონატშივე დაემტვრა. ვარსკვლავთა სამეულის ეულად დარჩენილმა მნათობმა ანთაუნ ჯემისონმა იხტიბარი არ გაიტეხა და 30-ქულიანი თამაშებით მარტომ ზიდა ლიდერის ტვირთი, მაგრამ „კლივლენდს" ერთი მოგებაც ვერ აართვა.

კლივლენდელები კი ლებრონ ჯეიმსის მეთაურობით და მისი დამხმარე პერსონალის, განსაკუთრებით ვეტერან ლიტველ ცენტრ ჟიდრუნას ილგაუსკასის გეგმაზომიერი ფუსფუსით მთელი სერია მეთოდურად ამუშავებდნენ დედაქალაქელებს და ოთხივე თამაში არცთუ დიდი სხვაობით, მაგრამ დამაჯერებლად მოუგეს.

„წინა წელს პლეი ოფში რომ მოვხვდით, იმდენად კმაყოფილები ვიყავით, რომ მეტი არც რამე გვინდოდა. ახლა კი ყველაფერი სხვაგვარადაა, უფრო ყურადღებით ვთამაშობთ, გეგმები დავხვეწეთ და ფოკუსი გავასწორეთ. იცით, რას ვუმიზნებთ ჩვენს ობიექტივს? ჩემპიონობას!" — 22 წლის ლებრონ ჯეიმსი ათას ბრძოლაში გამოცდილი მეომრის სიდინჯით საუბრობს.

ჩვენ კი დავძინოთ, რომ მისმა „კლივლენდმა" კლუბის ისტორიაში პირველად მოიგო სერია თამაშის წაუგებლად, სულ კი ექვსი სერია აქვს მოგებული და ლებრონბიჭუნას ნაუბრიდანაც ჩანს, „კავალერია" ამაზე შეჩერებას რომ არ აპირებს. შემდეგი მეტოქე სავარაუდოდ „ნიუ ჯერსი" იქნება, რომელიც 3:1 უგებს „ტორონტოს".

ამბიციურ „დენვერს" კიდევ ერთი გამარჯვება წაავლიჯა სამგზის ჩემპიონმა „სან ანტონიომ" და 3:1 დაწინაურების შემდეგ შანსი გაუჩნდა, შინ მეხუთე თამაშში მოუმთავროს საქმე უფრო მეტადაც ვარსკვლავურ გუნდს, ვიდრე თავადაა. „დენვერს" ჰყავს ალენ აივერსონი, კარმელო ენტონი, სეზონის საუკეთესო დამცველად ხელდადებული მარკუს კემბი და სხვანი მრავალნი, ფრიად ყოჩაღნი, და რა გასაკვირია, ეს ხალხი მძლავრ მეტოქესაც რომ არ ეპუება, მაგრამ...

„დენვერმა" აგრესიულად დაიწყო, საწყისი მეოთხედი 27:20 მოუგო „სან ანტონიოს" და ბოლო მეოთხედამდე 6-ქულიანი უპირატესობა მიიტანა, მაგრამ იქ სტუმართა გამოცდილებამ გადაწონა მასპინძელთა ენთუზიაზმი — ეს პერიოდი „სფურზმა" 29:16 იმარჯვა. ამ სერიაში უკვე მეორედ იყოჩაღა სანანტონიოელთა ვეტერანმა „მკვლელმა" რობერტ ჰორიმ, დამთავრებამდე 30 წამით ადრე გადამწყვეტი სამქულიანი ჩაუგდო „დენვერს" და ყოველგვარი ამბოხების სურვილი ჩაუკლა.

როგორც ჩანს, პირველ წრეში ყველაზე დიდხანს „ჰიუსტონისა" და „იუტას" დავა გაჭიანურდება. სერიაში აგერ ხუთი მატჩი ჩათამაშდა და ხუთივედან მასპინძელი გამოვიდა გამარჯვებული. „ჰიუსტონს" მოედნის უპირატესობა აქვს, ახლა 3:2 დაწინაურდა და თუ მეექვსე მატჩი „იუტას" მოედანზე დათმო, მეშვიდე გადამწყვეტი შინ უწევს.

მეხუთე შეხვედრაში კი იყოჩაღა ტრეისი მაკგრეიდიმ, რომელმაც ტრადიციულად ძალზე ბევრი ტყორცნა გააცუდა (25-დან 14), მაგრამ მიხვდა, რომ თუ თვითონ ვერ აგდებს, შეუძლია, ბურთი სხვას დაუთმოს და აგერ, კარიერაში სარეკორდოდ ბევრი, 16 პასი ჩამოარიგა.

**კოტე ყორშია**

30 აპრილი

### აღმოსავლეთი

**კლივლენდი 4:0 ვაშინგტონი**

**ვაშინგტონი 90:97 კლივლენდი**

**ვაშინგტონი:** ჯემისონი (31), სონგოლა (16), დანიელსი (13 ქულა, 12 პასი)
**კლივლენდი:** ჯეიმსი (31 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), ილგაუსკასი (20 ქულა, 19 მოხსნა), პიუზი (19), გუდენი (14)

### დასავლეთი

**სან ანტონიო 3:1 დენვერი**

**დენვერი 89:96 სან ანტონიო**

**დენვერი:** ენტონი (29), აივერსონი (22), ილარიო (18), კემბი (10 ქულა, 17 მოხსნა)
**სან ანტონიო:** დანკანი (22 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), ჯინობილი (18), პარკერი (15)

**იუტა 2:3 ჰიუსტონი**

**ჰიუსტონი 96:92 იუტა**

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (26 ქულა, 16 პასი), მინი (21 ქულა, 15 მოხსნა), ბეტიე (15), ალსტონი (14), ჰოვარდი (12)
**იუტა:** ბუზერი (26), ფიშერი (17), უილიამსი (13)

## საფრანგეთისკენ

RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

# ძმასთან ერთად სულ სხვაა

## ირაკლი გიორგაძე უკეთეს კლუბს და უკეთეს ნაკრებს ხედავს

**როდესაც კლოდ სორელის მწვრთნელობისას 19 წლის ირაკლი გიორგაძე ნაკრებში გამოჩნდა, სარაგბო თემში მას უფრო სტაჟიანი მენაკრების აქსენტი გიორგაძის უმცროს ძმად იცნობდნენ. იქიდან მოყოლებული უმცროსი გიორგაძე სტაბილურად დამკვიდრდა „ლელოებში", 2003 წლის მსოფლიოს თასზეც ითამაშა და მის გარეშე ქართველთა დაცვის ხაზი წარმოუდგენელიცაა. ირაკლი გიორგაძე ახლა საფრანგეთში ელიტარულ „ბურგუენში" რაგბობს, მაგრამ როდესაც სარუბრიკოდ დავუკავშირდით, გვითხრა, სეზონის დასრულებისას კლუბს გამოვიცვლიო...**



— რატომ გადაწყვიტე გუნდის გამოცვლა, კონტრაქტს აღარ გიგრძელებენ თუ უკეთესი ვარიანტი გაქვს?

— სეზონი ფაქტობრივად ჩავაგდეთ, ჩემპიონობის შანსი აღარ გვაქვს და კლუბის უფროსობამ გადაწყვიტა, სამომავლოდ ახალი გუნდი გააკეთოს. იცით, ჩემთან ერთად დავით ხინჩაგაშვილიც თამაშობს. ორივეს გვაქვს კარგი შემოთავაზებები და რა უნდა მოხდეს, რომ „ბურგუენში" დავრჩეთ. კლუბში ვითარება არეულია. ვერ გაიგებ, ვინ არის წამსვლელ-მომსვლელი, გაურკვევლობას მირჩევნია, გარანტირებული კონტრაქტი მქონდეს.

— რომელი კლუბი გეპატიჟება?

— ერთი კი არა, ოთხი კლუბი მეპატიჟება, ოთხივე ელიტარულია, ოღონდ სახელებს ვერ გეტყვით, ცუდად მაქვს დაცდილი.

— ესე იგი, მსოფლიოს თასის წინ მოეწყობი ახალ კლუბში?

— ასეა, და მსოფლიოს თასს პრობლემების გარეშე შევხვდები, თორემ სკამზე ჯდომით ან დაბალი დონის გუნდში თამაშით ფორმიდანაც ამოვვარდები.

— წინა მსოფლიოს თასზე ნათამაშებმა თითქმის ყველა მენაკრებემ ქართველების წარუმატებლობა კლოდ სორელს და შიდა დაპირისპირებებს დააბრალა...

— მეც ასე ვფიქრობ. თავი და თავი კი კლოდ სორელის გადაწყვეტილებები იყო. თავისი მოქმედებით გუნდის შიდა სამზარეულოც არია და გადამწყვეტ მომენტშიც შეცდა. ურუგვაისთან მატჩამდე ოთხი დღით ადრე სამხრეთ აფრიკას ვეთამაშეთ. ამ მატჩში სორელმა ძირითადი მორაგბეები ურუგვაისთვის დაასვენა. მოხდა ისე, რომ სათადარიგოებს თამაში წააუვიდათ და ურუგვაისთან შემადგენლობა აღარ შეცვალა. ერთი სიტყვით, ურუგვაისთან იმ მორაგბეებმა ითამაშეს, მანამდე სამი-ოთხი წელი ნაკრებში რომ არ ყოფილან და შეთამაშების პრობლემა ჰქონდათ. მატჩის მიმდინარეობისას კი მწვრთნელმა რამდენიმე ის მორაგბე შეიცვალა, გადამწყვეტ მომენტში თამაშის თავის თავზე ალება რომ შეეძლოთ. ამასთან, ბოლოსკენ სორელი, [illegible] ერთიერთობაში [illegible], რაც მისი [illegible].

— ახლა როგორაა საქმე?

— ქართველმა მწვრთნელებმა ბოლო ოთხი წლის მანძილზე გუნდი რასაც ჰქვია, შეკრეს. ერთმანეთის კარგად გვესმის, მწვრთნელებთან მისვლის და ჩვენს პრობლემებზე დალაპარაკების არ გვეშინია, არიქა გუნდიდან არ გაგვაგდონო. მათ იციან, რომ პროფესიონალები ვართ, ზომიერ თავისუფლებას გვაძლევენ, შედეგიც სახეზეა.

— აქედან გამომდინარე, წლევანდელი მსოფლიოს თასზე უკეთეს ნაკრებს ვიხილავთ?

— ცხადია... ჩემი აზრით 2003 წლისგან განსხვავებით ბევრად უკეთესად ვითამაშებთ, რაც ერთსულოვნების დამსახურება იქნება.

— ეს ნიშნავს, რომ ნამიბიას აუცილებლად მოუგებთ?

— ასე ვერ ვიტყოდი თორმეტი ნამიბიელი ზე-14-ში თამაშობს, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო ლიგაა. განსაკუთრებით მოიერიშეები ჰყავთ ძლიერები. შანსებს თანაბრად ვაფასებ, ოღონდ ურუგვაისთან განსხვავებით ნაღდი ბრძოლა და უკეთესი თამაში იქნება.

— ერთსაც გკითხავ, როდესაც მოედანზე ძმასთან ერთად თამაშობ, ალბათ განსხვავებული გრძნობაა?

— ეს არის უდიდესი სიამოვნება. აქსენტი მოედანზეც და მის გარეთაც ჩემთვის შეუცვლელი პარტნიორია. საწყენია, რომ მსოფლიოს თასის შემდეგ სანაკრებო კარიერას დაასრულებს.

**ბაჩო სვანიძე**



# დამაიმედებელი მეთერთმეტე



ილია გიორგაძე

**ამსტერდამში გამართულ ტანმოვარჯიშეთა ევროპის ჩემპიონატში თბილისელმა ილია გიორგაძემ მრავალჭიდში მე-11 ადგილი დაიკავა. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ფედერაციის პრეზიდენტს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ რუსუდან სიხარულიძეს, რომელიც ერთ დროს თავისი გამარჯვებებით გვახარებდა და იყო მსოფლიოს ჩემპიონი, ბრინჯაოს მედალოსანი, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი და მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული**

— როგორ ფიქრობთ, ილია გიორგაძის მეთერთმეტე ადგილი რამდენად დამაიმედებელია პეკინის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიოდ?

— ევროპის ამ ჩემპიონატში კონტინენტის ყველა უძლიერესი ტანმოვარჯიშე გამოდიოდა. ამდენად, ილია გიორგაძისთვის ეს მეთერთმეტე ადგილი წარმატებად მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ ამსტერდამის სტარტებამდე იგი ორი კვირა საფრანგეთში, საკლუბო ტურნირის მერე პირადი მწვრთნელის გარეშე დარჩა. მოგეხსენებათ, გიორგაძე ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ, პრაქტიკულად სულ მოსკოვშია, იქაურ მწვრთნელთან და რუსეთის ნაკრების წევრებთან ერთად ვარჯიშობს. სამწუხაროდ, საფრანგეთის შემდეგ მას მოსკოვში დასაბრუნებლად სავიზო პრობლემები შეექმნა. ყოველივე ამან გიორგაძეზე საამსტერდამოდ, რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედა. აი, ამიტომაცაა, რომ მისი მეთერთმეტე ადგილი წარმატებად მიგვაჩნია. საპეკინო ლიცენზიები ერთადერთ შეჯიბრებაზე, შემოდგომაზე შტუტგარტში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე განაწილდება. რა თქმა უნდა, გიორგაძეს იქ მეტი კონკურენტი ეყოლება. თუმცა ვფიქრობთ, რომ ჩვენი სპორტსმენი ულიცენზიოდ არ უნდა დარჩეს. გიორგაძე საკმაოდ სტაჟიანი სპორტსმენია. ატლანტის, სიდნეისა და ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილეა და იმედია, იგი ოლიმპიურ პეკინშიც გამოვა.

— ილია გიორგაძე ევროპის ჩემპიონატზე ცალკეულ იარაღებზე როგორღა გამოვიდა?

— სამწუხაროდ, იქ მოკრძალებული შედეგები ჰქონდა და ფინალებში ვერ გავიდა, თუმცა მრავალჭიდში გაცილებით უკეთ იასპარეზა.

**ავთანდილ ბუყიშვილი**



# თევზი მხოლოდ ოქსანას ბადეში



**ერთბაშად** სამი ქართველი ჩოგბურთელი გავიდა თურქეთის ხმელთაშუაზღვისპირა კურორტ ანთალიის მაგარსაფარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში.

საკვალიფიკაციო ეტაპზე ოთხი ჩვენებური თამაშობდა, ოთხივემ უწია მესამე წრეს და იქ კი მხოლოდ სოფო შაფათავა შეფერხდა, რომელსაც ქართველთაგან ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა. არადა, პირველი სეტი შაფათავამაც მოუგო კლასიფიკაციაში 846-ე ადგილზე მყოფ რუს აუგუსტა ციბიშევას, მაგრამ უპირატესობა ვეღარ განავრცო და 6:3 4:6 4:6 დამარცხდა.

დანარჩენი ჩვენებურები ძირითად ბადეში უპრობლემოდ გავიდნენ. თინათინ ყაველაშვილმა, ვინც კარგა ხნის შესვენების შემდეგ დაუბრუნდა კორტებს, 6:2 6:1 გაანადგურა რუსი ალექსანდრა რაზუმოვა; სოფო ქვაცაბაიამ თითქმის იდენტური ანგარიშით — 6:1 6:2 სძლია ფრანგ შარლინ ვანესს, ხოლო ოქსანა კალაშნიკოვამ 6:2 6:2 მოუგო რუს დიანა არუტინოვას.

ძირითადი ტურნირის პირველ წრეში ყაველაშვილი 19 წლისა და რეიტინგში კარიერის უმაღლესი, 407-ე ადგილზე მყოფ შვედ მიხაელა იოჰანსონს ხვდება, ქვაცაბაიას მეტოქე მე-3 ნომრად განთესილი 23 წლის ბრიტანელი ანი კეტავონგია, ვისაც მიმდინარე კლასიფიკაციაში 176-ე პოზიცია უჭირავს და კალაშნიკოვა კი კორტის მასპინძელს, 18 წლისა და რეიტინგის 1228-ე საფეხურზე მყოფ ეილულ ბენლის დაუპირისპირდება.

P. S. გუშინ პირველი წრის მატჩები გაიმართა და სამი ჩვენებურიდან მეორე წრეში მხოლოდ კალაშნიკოვა გავიდა. რომელმაც თურქ მეტოქეს 6:0 6:2 მოუგო. ყაველაშვილი იოჰანსონთან 1:6 1:6 დამარცხდა, ხოლო ქვაცაბაიამ კეტავონგთან 1:6 2:6 წააგო.

# ქართველების ცუდი წილი

**ანთალიური** შეჯიბრის პარალელურად ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ შარლოტსვილის თიხნარზე, ასევე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით 50-ათასიანი შეჯიბრი მიმდინარეობს და იქ ძირითად ბადეში ორი ჩვენებურია — ანა ტატიშვილი და სოფო მელიქიშვილი.

სამწუხაროდ, ქართველებს წილისყრამ აშკარად არ გაუმართლა — ტატიშვილი მე-6 ნომრად განთესილ ამერიკელ ლილი ოსტერლოჰს ხვდება, ხოლო მელიქიშვილის მეტოქე, სულაც პირველი ნომერი, კიდევ ერთი მასპინძელი მეგან შონესია.

28 წლის შონესი მიმდინარე რეიტინგში 56-ეა, ხოლო 2001 წელს მე-11 ადგილზეც კი იყო. რაც შეეხება 29 წლის ოსტერლოჰს, კარიერის უმაღლესი, 41-ე პოზიცია მასაც 2001 წელში ეკავა, ამჟამად კი კლასიფიკაციის 155-ე ნომერია.

# დავიწყებული ტრაგედია

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

**უკვე 13 წელი გავიდა იტალიაში, იმოლას ავტოდრომზე „უილიამსის“ ბეტონის კედელთან მიხეთქების შედეგად მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ მეფორმულის აირტონ სენას დაღუპვიდან. ენცო და დინო ფერარების სახელობის ტრასამ იმ დაწყევლილ უიქენდზე კიდევ ერთი მრბოლის სიცოცხლე შეიწირა. წინა დღეს სკვალიფიკაციო გაჯიბრებას ავსტრიელი ახალბედა როლანდ რაცენბერგერი ემსხვერპლა, მაგრამ „ჯადოქარი“ ბრაზილიელის სიკვდილმა ეს უბედურება დაჩრდილა**

31 წლის ზალცბურგელისთვის სან მარინოს „გრან პრი“ მხოლოდ მესამე ეტაპი იყო. იგი მოწიფულ ასაკში გამოჩნდა „სამეფო რბოლების“ არენაზე, არადა, ავტოების სიყვარული ბავშვობიდან მოსდევდა. 14 წლის როლანდი უმაღლეს ტექნიკურ სკოლაში შევიდა, სურდა, უკეთესად სცოდნოდა ავტომობილები.

გაცნობა გაჭიანურდა და რაცენბერგერი პირველად სარბოლო მანქანის, „ფორმულა ფორდ-1600“-ის საჭეს გვიან, 21 წლის ასაკში მიუჯდა. მერე იყო ფორმულა 3, ფორმულა 3000, „სპორტპროტოტიპები“ და იაპონიაში წასვლა იქაურ 3000-იან ფორმულაში საჯიროთოდ.

ამომავალი მზის ქვეყანაში იმხანად გამოცდილების შესაძენად დაქროდნენ ახალგაზრდა ტალანტები, რომლებიც შემდგომში ფორმულა 1-ის ვარსკვლავები გახდნენ — ჟაკ ვილნევი, ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი, ედი ირვინი, მიკა სალო... ყველანი როლანდზე რამდენიმე წლით უმცროსებიც იყვნენ და ტრასაზე ბევრად სწრაფებიც, თუმც ავსტრიელს ეს არ ანაღვლებდა.

„რაცი ტოკიოდან საკმაოდ შორს ცხოვრობდა, ამიტომ ძირითადად ჩემთან, სამზარეულოს იატაკზე ათევდა ღამეს — იხსენებს ფინელი მიკა სალო — იგი ყოველთვის უცნაურად გამოიყურებოდა, ფული არ აკლდა, მაგრამ მუდამ ერთი და იგივე, ალბათ ოციოდე წლის წინ ნაყიდი, თანაც რამდენიმე ზომით პატარა, სამარცხვინო შორტებით დადიოდა. ისე სასაცილოდ გამოიყურებოდა, რომ მასთან ერთად ქუჩაში სიარულის მრცხვენოდა და ბოლოს და ბოლოს მე ვუყიდე ახალი ტანსაცმელი. როლანდს უყვარდა მხიარული კამპანიები, თუმც ხშირად ებმებოდა შარში და ჩვენც ვაშაყირებდით. საერთოდ კი რაცი სერიოზული, მრავალმხრივი, ინტელიგენტური პიროვნება იყო.

ერთხელ, 1993 წელს რაცენბერგერმა და ფრენცენმა ტოკიოს ერთ ბარში შეიარეს და ლუდით გაჭყეპილებმა ორ გოგონას შებმა დაუპირეს. უცებ იქაური ბიჭები გაჩნდნენ და კამათი მალე ჩხუბში გადაიზარდა. ერთმა მათგანმა ფრენცენს დანა მოუქნია და დაარტყამდა კიდეც, მაგრამ როლანდი აკრობატის ნახტომით იაპონელს მაჯაში ეცა და დანა გააგდებინა. შესაძლოა, მაშინ მან გერმანელი მეგობარი სიკვდილს გადაარჩინა.

რაცენბერგერის ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა სომალის პრინცესა კანდიასთან შეხვედრის შემდეგ, რომელიც ირვინის დაბადების დღეზე გაიცნო და ერთი ნახვით შეუყვარდა. მაგრამ ისლამის მკაცრი კანონები აფრიკელ პრინცესას პროტესტანტზე დაქორწინების უფლებას არ აძლევდა. შეყვარებულებმა მონაკოში ბინა იყიდეს, თუმც ერთად იშვიათად იყვნენ: როლანდი იაპონიის ტრასებზე დაქროდა, ხოლო მანეკენ კანდიას ქვეყნიდან ქვეყანაში ხეტიალი უწევდა.

თანდათან რაცის სარბოლო წარმატებებმა იმატა, სპონსორებმაც მისი შესაძლებლობები ირწმუნეს და როგორც იქნა, საოცნებო ფორმულა ერთში გამოსვლისთვის საჭირო თანხაც შეგროვდა. რაცენბერგერის დებიუტი 1994 წლის გაზაფხულზე ბრაზილიაში შედგა, თუმც კვალიფიკაციას ვერ გასცილდა — მხოლოდ 27-ე დრო აჩვენა და სტარტზე ვერ მოხვდა. სამაგიეროდ, ორი კვირის შემდეგ იაპონიაში კვალიფიკაციაც გაიარა და ფინიშამდეც მიაღწია, ოღონდ ბოლო, მე-11 ადგილზე.

შემდეგ იყო სანმარინოს ის კოშმარული დიდი პრიზი.

როლანდის „სიმტეკს“ კვალიფიკაციისას წინა ფრთა მოსძვრა, გზააბნეული ბოლიდი 314 კმ/სთ სიჩქარით ტრეკიდან გავარდა და ვირაჟ „ვილნევში“ ბეტონის კედელს შეასკდა. ერთი შეხედვით, კოკპიტს დაზიანებისა არაფერი ეტყობოდა, თავჩაქინდრული მძღოლი კი გაუნძრევლად იჯდა. ჩაფხუტიდან სისხლი ჟონავდა, მერე აღმოჩნდა, რომ კისრის მალები გასტეხოდა. 12 წამში ავარიის ადგილზე გაჩნდა დოქტორ პიანას სამედიცინო ბრიგადა, ორიოდ წუთში კი ფორმულა 1-ის მთავარი ექიმი სიდ უოტკინსიც მივიდა. რაცი იქვე ხელოვნური სუნთქვის აპარატს მიუერთეს, გულის მასაჟი და ელექტროშოკიც სცადეს, მაგრამ ყველაფერი ამაოდ.

ავსტრიელი ვერტმფრენით ბოლონიის ჰოსპიტალ „მაჯორეში“ გადაიყვანეს. ამასობაში იქ მივიდა სენა, მან პირადად ისურვა კატასტროფის ადგილის ხილვა.

ზუსტად ერთ საათში „მაჯორეს“ ექიმმა ჯოვანი გორდინიმ რაცენბერგერის გარდაცვალება ოფიციალურად დააფიქსირა. ამის მერე კი უცნაური ხმები გავრცელდა. ეტაპის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ როლანდი საავადმყოფოსკენ გზაზე, ვერტმფრენში გარდაიცვალა. სიკვდილი ავარიისთანავე, უშუალოდ ტრასაზე რომ დაფიქსირებულიყო, იტალიური კანონებით, ავტოდრომი უნდა დაეკეტათ და რბოლაც არ ჩატარდებოდა. არადა, ამბობდნენ, ვითომ დოქტორმა პიანამ სენას ტრასაზევე ამცნო, რომ რაცენბერგერი უკვე მკვდარი იყო.

აირტონის სიკვდილის შემდეგ როლანდის ტრაგედია უცებ თითქოს ყველამ დაივიწყა, მას სულ რამდენიმე საგაზეთო სტრიქონს თუ უთმობდნენ, სენას კი მთელი საფორმულო სამყარო დასტიროდა. ბოლონიის მორგში გაკვეთისთვის, ერთი დღით ადრე გარდაცვლილ ავსტრიელს ლეგენდარული ბრაზილიელისთვის რიგის დათმობა მოუხდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა „ჯადოქარი“ შორეულ სან პაულუში მიწას მიაბარეს, მშობლიურ ზალცბურგში მეგობარ-ახლობლების მოკრძალებულმა პროცესიამ როლანდი უკანასკნელ გზაზე გააცილა. მრბოლებიდან ცერემონიას დაესწრნენ ფრენცენი, ვენდლინგერი, ბრებემი, ლამერსი და, ბერგერი და ჰერბერტი, რომლებიც ბრაზილიიდან ჩამოფრინდნენ სენას დაკრძალვის შემდეგ.

რაცენბერგერი ვერ გახდა ისეთი დიადი მეფორმულე, როგორც მისი კერპები — ნიკი ლაუდა და იოხენ რინდტი. ფორმულა 1-ის ქომაგთა უმრავლესობას იგი დაამახსოვრდა პილოტ-დებიუტანტად, რომელიც აირტონ სენას სიკვდილამდე ერთი დღით ადრე დაიღუპა.

**გია ახალაძე**







## პლეი ოფი. მეორე წრე

### აღმოსავლეთი

**ნიუ ჯერსი 1:2 ოტავა**

მესამე მატჩი

ოტავა 2:0 ნიუ ჯერსი

*0:0 0:0 2:0*

1:0 პრეისინგი (45, კომრი, ფიშერი), 2:0 სპეცა (60, ცარ. კარში. ალფრედსონი, პიტლი)

### დასავლეთი

**დეტროიტი 1:2 სან ხოსე**

მესამე მატჩი

სან ხოსე 2:1 დეტროიტი

*0:1 1:0 1:0*

0:1 ლიდსტრომი (12, უმრ. სამუელსონი, კლირი),
1:1 კლოუ (33, კარლი, ტორნტონი), 2:1 ჩიჩუ (54, უმრ. მაკლარენი, კლოუ)



ეულად მებრძოლმა დომინიკ ჰაშეკმა „დეტროიტი“ ვერ იხსნა

# მარტოკაცები

**მარტინ ბროდო** ორი პერიოდი ლამის მარტო ეჭიდავა „ოტავას“ და ბლომად სასწაულებიც აკეთა, მაგრამ მესამეში ტომ პრეისინგის დარტყმულს უკვე ვეღარაფერი მოუხერხა, რაც მატჩის გადამწყვეტი მომენტი გამოდგა. ისე, ბროდო აქ მაგრად შეცდა, რადგან კანადელმა მცველმა ძალიან მახვილი კუთხიდან დაარტყა. „ნიუ ჯერსის“ წინა ხაზმა კი მთლიანობაში უფერულად ითამაშა და ვერც გაშვებული შაიბის შემდეგ შეძლო რაიმე ღირებულის შექმნა, რის გამოც „სენატორებმა“ ზედმეტი პრობლემების გარეშე მიიყვანეს მატჩი გამარჯვებამდე.

ნამატჩევს ბროდო იმაზე წუწუნებდა, რომ გოლამდე რამდენიმე წამით ადრე მას „ოტავას“ ერთ-ერთი ფორვარდი შეასკდა, რამაც პრეისინგის დარტყმულზე რეაგირებაში ხელი შეუშალა.

„ოთხი მსაჯი გვიყურებს და ერთმა როგორ ვერ დაინახეს, ეს მომენტი, არ მესმის — მაიკ ფიშერმა აშკარად ფეხი გამომდო და კინაღამ წავიქეცი. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ დარტყმული წესიერად ვერც დავინახე“ — „ეშმაკთა“ მეკარე მსაჯებზე იყო გაბრაზებული.

სან ხოსეში კი გუშინ მატჩი ორ ნაწილად გაიყო — პირველ ნახევარში „დეტროიტი“ სიტუაციის ბატონ-პატრონი იყო და იმდენი მომენტი შექმნა, რამდენიც პირველ ორ შეხვედრაში ერთად აღებული არ ჰქონია, თუმც მიჩიგანელებმა მხოლოდ ერთხელ იხეირეს, როცა კაპიტანმა ნიკლას ლიდსტრიომმა შორიდან გაისროლა. აი, მეორე პერიოდის შუაწელზე რა მოხდა, ძნელი სათქმელია — მასპინძლები გამოცოცხლდნენ და სწრაფად ათამაშდნენ, რაც იმის ბრალი უფროა, რომ „წითელფრთიანებმა“ თავისით დათმეს უპირატესობა. აქედან მოყოლებული, მასპინძლებს მხოლოდ ლეგენდარული დომინიკ ჰაშეკილა თუ ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ „ზვიგენებმა“ „დომინატორი“ ორჯერ მაინც დაამწუხრეს და სერიაში დაწინაურდნენ კიდეც.

**ქახა ლომაშვილი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი

მოსკოვი, რუსეთი. 27 აპრილი – 13 მაისი

### A ჯგუფი

**შვეიცარია 2:1 იტალია**

*1:0 0:0 1:1*

1:0 ბეზინა (16), 1:1 ამოლდი (45), 2:1 რიუტიმანი (52)

**ლატვია 2:8 შვედეთი**

*0:2 0:2 2:4*

0:1 ბეკსტრომი (1), 0:2 ოკერმანი (7), 0:3 ვალინი (29), 0:4 ბრემბერგი (39), 1:4 დაუგავინში (41), 2:4 შიროკოვი (43), 2:5 იოჰანსონი (54), 2:6 პერნკვისტი (56), 2:7 ვარგი (57), 2:8 ტერნსტრომი (58)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 2 | 0 | 0 | 15:3 | 4 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 0 | 4:2 | 4 |
| ლატვია | 0 | 0 | 2 | 3:10 | 0 |
| იტალია | 0 | 0 | 2 | 2:9 | 0 |

### C ჯგუფი

**სლოვაკეთი 5:1 გერმანია**

*1:0 1:0 3:1*

1:0 პოდგრადსკი (9), 2:0 პოდგრადსკი (23), 2:1 ულმანი (48), 3:1 კაპუში (50), 4:1 გაბორიკი (57), 5:1 სომიკი (59)

**კანადა 4:2 ნორვეგია**

*2:1 0:1 2:0*

0:1 სპენსი (10), 1:1 ნეში (14), 2:1 ჩიმერა (16), 2:2 ანდერსენი (33), 3:2 დოუნი (41), 4:2 უილიამსი (50)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 2 | 0 | 0 | 8:1 | 4 |
| კანადა | 2 | 0 | 0 | 7:4 | 4 |
| გერმანია | 0 | 0 | 2 | 3:8 | 0 |
| ნორვეგია | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |




როჯერს როპმა (№26) ვილფრედ კიგენს ზედ ფინიშზე აჯობა

# ყველა გზის კენიელები

**გასულ უქმეებზე** მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში რამდენიმე დიდი თუ ნაკლებად პრესტიჟული მარათონი ჩატარდა და ხარისხის ზომა-წონაში სხვაობა კენიელებმა გააერთიანეს. ყველგან — ვენაშიც, ჰამბურგშიც, ბრეშაშიც, ნეშვილშიც, კაცთა შეჯიბრის მთელი პოდიუმი, სწორედ ამ ფეხმარდმა აფრიკელებმა დაიპყრეს ერთი გამონაკლისის გარდა — იტალიურ ბრეშაში კენიელებს, ფილემონ ბოტსა და ბენჯამინ კიპროტიჩს შორს, მეორე ადგილი ეთიოპიელმა ბერჰანუ ჩიმსამ დაიკავა. ასევე ეთიოპიელის, გურმუ მულიე ლემას გამარჯვებით დასრულდა იტალიური მარათონის ქალთა განყოფილებაც, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ჩამოთვლილი შეჯიბრებებიდან ბრეშასი ყველაზე ნაკლებად პრესტიჟული იყო და შედეგებიც ყველაზე უარესი იქნა ნაჩვენები.

ხოლო იქ, სადაც მონაწილეთა გაცილებით მძლავრი შემადგენლობები იყო თავმოყრილი, კენიელმა კაცებმა კვარცხლბეკთან ახლო არავინ გაიკარეს.

მთავარი ამბები ჰამბურგში იყო. იქ თავიდან ბოლომდე, მთელი 42,195 კილომეტრის მანძილზე არნახული ბრძოლა იყო და 31 წლის როჯერს როპმა მეორე კენიელ ვილფრედ კიგენს, ლამის ფოტოფინიშით აჯობა, რაც ამხელა გზაზე დამდგარი ხალხისთვის უიშვიათესი შემთხვევაა. როპმა ჰამბურგის ქუჩებში 42 კილომეტრისა და 195 მეტრის გარბენას 2 საათი, 7 წუთი და 32 წამი მოანდომა და თანამემამულეს მხოლოდ ერთი წამით აჯობა. კიდევ ცხრა წამის შემდეგ კი ფინიშს მესამე კენიელმა კიპროტიჩ კინეიმ უწია.

ქალთა შეჯიბრი ეთიოპიელმა აილეშ ვორკუმ 2 საათში, 29 წუთსა და 14 წამში მოიგო და უკან ორი კენიელი — როზი ნიანგაჩა და ბეატრის ომვანზა მოიტოვა.

პრიზიორთა შორის მთლად ასეთი მინიმალური სხვაობა არ ყოფილა, მაგრამ ავსტრიის დედაქალაქის ქუჩებშიც გვარიანი შეჯიბრი გაიმართა, რომელიც, ბუნებრივია და, კენიელმა ლუკა კიბეტმა მოიგო. მან ვენას 2 საათში, 10 წუთსა და 7 წამში შემოურბინა და თანამემამულეებს, ჯეიმს მვანგისა და აბელ კირუის, შესაბამისად, 20 და 34 წამით აჯობა.

ქალებში ვენის მარათონი რუმინელმა ლუმინიცა ტალპოსმა მოიგო. მეორე ეთიოპიელი მარტა მარკოსი იყო, ხოლო მესამე ადგილი ქომეგების გასახარად, ავსტრიელმა სუზანა რამპერმა დაიკავა.

ნეშვილისაც ვთქვათ და იქ კაცებში პირველი სამეული კენიელებმა — ვაგაიმ, მოიბენმა და კორორიამ შეადგინეს, ხოლო ქალთა შორის ევროპელებმა იმარჯვეს — პირველზე უკრაინელი მურხნო გავიდა, მეორეზე ფრანგი პრეტო, მესამე კი რუსი პუდოვკინა იყო.




ლუკა კიბეტმა ვენის მარათონი მოიგო



# რონიმ ორნი მოიშორა

**შეფილდში**, სადაც ბილიარდის ყველაზე ეშხიანი სახეობის, სნუკერის მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს, უკვე ორი წრე მიილია, მონაწილეთა რაოდენობა 32-დან რვამდე შემცირდა და გუშინ მეოთხედფინალური მატჩებიც დაიწყო.

მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონსა და სნუკერისტთა მიმდინარე რეიტინგის პირველ ნომერს, შოტლანდიელ გრემ დოტს, რომელიც პირველივე დღეს გამოემშვიდობა ტიტულის შენარჩუნებაზე ფიქრს, უკან კიდევ რამდენიმე ყოფილი ჩემპიონი და ფავორიტი მიჰყვა.



რონი ოსალივანი

ძველი ჩემპიონებით დავიწყოთ და საუკეთესო რვეულში დოტის გარდა ვერ მოხვდნენ შვიდგზის ტრიუმფატორი სტივ ჰენდრი, ექვსგზის ჩემპიონი სტივ დევისი, ორგზის ჩემპიონი მარკ უილიამსი, აგრეთვე ჯონ პეროტი, კენ დოჰერტი და პიტერ ებდონი. ამათგან, მიმდინარე პირველობის ფავორიტთა შორის დოტის გარდა შარშანდელ ფინალისტ ებდონსაც მოიხსენიებდნენ, მაგრამ მარკ სელბიმ პიტერს მეორე წრეში 13:8 მოუგო. უფრო დიდი სხვაობით — 13:6 დაჯაბნა ალისტერ კარტერმა ერთგვარად აპათიურად მოთამაშე ჰენდრი და ახლა, მეოთხედფინალში, სწორედ ეს ინგლისელები — სელბი და კარტერი ხვდებიან ერთმანეთს. მათ შორის საუკეთესო ნახევარფინალში შონ მერფისა და მეტიუ სტივენსს შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება და ფავორიტებად, ბადის ამ, ქვედა ნახევარში შარშანწინდელი ჩემპიონი მერფი და სელბი ითვლებიან.

ზედა ნახევრის მეოთხედფინალებში კი ერთი დიდი ჯახია ძველ ჩემპიონებს — 1998 წლის ტრიუმფატორ ჯონ ჰიგინსსა და 2001, 2004 წლების ჩემპიონ რონი ოსალივანს შორის.

სნუკერის ჯადოქარ ოსალივანს წილისყრამ, ალბათ ყველაზე ცუდი ბადე შეახვედრა. რონის პირველივე წრეში უნიჭიერესი ჩინელი ჯუნ ხუ დინი ჰყავდა მეტოქედ და მას 10:2 გადაუარა. მეორე წრეში ოსალივანს, უკვე ავსტრალიელი ნილ რობერტსონი შეხვდა, წლეულს ორი სარეიტინგო ტურნირის მომგები და დოტთან ერთად ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად მიჩნეული მოთამაშე.

რონიმ ისე დაიწყო, თითქოს დინთან თამაშს აგრძელებსო და 8:3 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ, როგორც ხშირად სჩვევია ხოლმე, ხასიათი წაუხდა, რობერტსონმაც გაისწორა სამიზნე, შემდეგი ექვსი ფრეიმი მიყოლებით მოიგო და 9:8, უკვე ოზი დაწინაურდა. მერე ანგარიში ორჯერ გათანაბრდა და ამ, ჩემპიონატის, ჯერჯერობით საუკეთესო მატჩის გადამწყვეტი მომენტი 21-ე პარტიაში დადგა, როდესაც რობერტსონს ფრეიმბოლი ჰქონდა, მაგრამ ვარდისფერი ბურთულა მაგიდის ჯიბეში არ ჩაეშვა და რონიმაც აიწყვიტა — ეს ფრეიმიც მოიგო, მომდევნო ორიც და მეოთხედფინალში ბრწყინვალე ფორმაში მყოფ ჰიგინსზე გავიდა.

რაც შეეხება მეოთხე მეოთხედფინალურ წყვილს, ის ინგლისელმა ენტონი ჰემილტონმა და სქოთმა სტივ მაგუაერმა შეადგინეს, თუმცა საეჭვოა, მათ შორის საუკეთესო მეორე ინგლისურ-შოტლანდიურ დუელში, ოსალივანსა და ჰიგინსს შორის გამარჯვებულს გაუმკლავდეს.



# ოსკარი მორიგ ოსკარს უმიზნებს

**5 მაისს** ლას ვეგასში წლის ბრძოლად შერაცხული ჯახი გაიმართება თანამედროვეობის ორ გამოჩენილ და ბრწყინვალე მოკრივეს, ოსკარ დე ლა ჰოიასა და ფლოიდ მეივეზერ-უმცროსს შორის. ბრძოლის ფსონი WBA-ს ტიტულია 69,9 კგ-მდე, მაგრამ ყველას მშვენივრად მოეხსენება, რომ აქ უფრო მეტი რამ გათამაშდება — არაოფიციალურად. შაბათს უკანასკნელი დეკადის საუკეთესო მოკრივის ტიტული გაირკვევა.



ოსკარ დე ლა ჰოია ფლოიდ მეივეზერ-უმცროსთან საბრძოლველად ემზადება

ეს რომ მართლაც ასეა, საკმარისია მოკრივეთა დოსიეებს და მათ ტიტულებს გადავხედოთ.

დავიწყოთ დე ლა ჰოიათი, პუერტორიკოელი „ოქროს ბიჭით“, რომელიც ლამის კრივის ყველაზე ცნობილი სახეა. 34 წლის ოსკარს პროფესიულ რინგზე 42 ბრძოლა აქვს გამართული, რომელთაგან 38-ში გაიმარჯვა. პირველი ტიტული დე ლა ჰოიამ ჯერ კიდევ 1994 წელს მოიგო 59 კგ-მდე კატეგორიაში. მომდევნო 8 წლის განმავლობაში „ოქროს ბიჭმა“ კიდევ ოთხი ტიტული მოიხვეჭა უფრო მძიმე წონებში. თუმც 2004 წელს ოსკარი ბერნარდ ჰოპკინსს დაეტაკა 72,6 კგმდე აბსოლუტური ჩემპიონობისთვის ჯახში და ნოკაუტითაც დამარცხდა. აქ დე ლა ჰოიას კარიერას ყველამ ხაზი გადაუსვა — თან წესით, რინგზე დაბრუნება თავადაც არ უნდოდა, რადგანაც ამ დროისთვის პრომოუტერობა დაეწყო და ამ საქმეს მშვენივრადაც ართმევდა თავს. მაგრამ „ოქროს ბიჭმა“ რინგის გარეშე მაინც ვერ გაძლო და შარშან ნიკარაგუელი რიკარდო მაიორგას დიდებულ სტილში დამარცხების შემდეგ ყველას დაანახვა, რომ ჯერაც ბევრი შეუძლია.

მეივეზერის კარიერა ასეთი დრამატული მომენტებით ნამდვილად არ არის სავსე, მაგრამ ამის მიუხედავად, ნაკლებად ბრწყინვალე როდია. ფლოიდმა თავისი პირველი ტიტული 21 წლის ასაკში მოიპოვა 59 კგ-მდე წონაში, როცა ყველაზე პრესტიჟული WBA-ს ქამარი მოირგო. ეს ტიტული მეივეზერმა მრავალჯერ დაიცვა. რის შემდეგაც უფრო მძიმე წონებში კიდევ ორი ქამარი მოიპოვა. თუმც ეს კაცი იმით უფროა ცნობილი, რომ პროფესიულ რინგზე ჯერ ერთხელაც არ დამარცხებულა — 37 ბრძოლიდან მეივეზერი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ეს ბრძოლა კრივის ყველა მოყვარულის ცხოველ ინტერესს იწვევს. სწორედ ამიტომ შეიძლება, ამ ჯახმა ყველა რეკორდი მოხსნას პირდაპირი ტრანსლიაციის ფასიანი საკაბელო ტელევიზიებით ყურების მსურველთა აბონენტების რაოდენობის მიხედვით.

ისე, ამ ბრძოლის ნახვის სურვილი 965 ათასი აბონენტი თუ გამოთქვავს, მაშინ ოსკარ დე ლა ჰოია ყველაზე მომგებიანი მოკრივე გახდება. მისი ბრძოლების ყურებით კრივის სამყარომ ჯერჯერობით „მხოლოდ“ 492 მილიონი იშოვა და ამ მაჩვენებლით „ოქროს ბიჭი“ მესამე ადგილზეა. პირველზე ისევ მაიკ ტაისონი რჩება 545 მილიონი), რომელსაც ევანდერ ჰოლიფილდი მოსდევს 543 მილიონი).

**კახა ლომჯარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
## ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

***ლივერპული (ინგლისი)* 1:0დ.დ. (პენ.4:1, 1:0) ჩელსი (ინგლისი) (0:1)**

1:0 აგერი (22)

*პენალტები: 1:0 ზენდენი, 1:0 რობენი (მეკარე), 2:0 ხაბი ალონსო, 2:1 ლამპარდი, 3:1 ჯერარდი, 3:1 ჯერემი (მეკარე), 4:1 კუიტი*

ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, რიისე, პენანტი (ხაბი ალონსო 78), ჯერარდი, მასკერანო (ფაულერი 118), ზენდენი, კრაუჩი (ბელამი 106), კუიტი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ჩელსი: ჩეხი, პ. ფერეირა, ესიენი, ტერი, ე. კოული, მიკელი, მაკელელე (ჯერემი 118), ლამპარდი, ჯ. კოული (რობენი 98), დროგბა, ს. კალუ (რაიტ-ფილიპსი 107)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: ე. კოული (28), აგერი (62), ზენდენი (110)

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

45 000 მაყურებელი



რაფაელ ბენიტესი და მისი გმირები: ხოსეპ რეინა და სტივენ ჯერარდი



დირკ კუიტის საათენო პენალტი

# ესპანელმა პორტუგალიელი ინგლისურ დუელში მოკლა

**ძირითადი** დრო გაილია, დამატებითიც. პენალტების ჯერია.

ტელეკამერა ძალიან საინტერესო კადრს იჭერს: „ჩელსის" ფეხბურთელები ჟოზე მაურინიუს შემოხვევიან, ის კი რაღაცას უხსნის. მწვრთნელის ხმა არ ისმის, მაგრამ აშკარად იგრძნობა, რომ პენალტისტთა ხუთეულის დასახელებასთან არ გვაქვს საქმე. მაურინიუ განწყობის შექმნას ცდილობს, რომლითაც ლონდონელებმა უფრო ცივსისხლიანად უნდა დაარტყან თერთმეტი მეტრიდან და მოიგონ.

მაურინიუს საინტერესო ჟესტიც: ის მალიმალ ზევით წევს საჩვენებელ თითს.

კადრი ლივერპულელთა ბანაკისკენ გადადის: რაფა ბენიტესი უფრო აკადემიურია და, შესაბამისად, ნაკლებად საინტერესოც.

მერე კი მსაჯი პენალტისტებს და მეკარეებს უხმობს. „ენფილდის" განთქმული „კოპი" უკმაყოფილოა — დარტყმები საპირისპირო კარშია. ახლა უკვე ბენიტესია კარგი სანახავი, ფადიშაჰივით ფეხმორთხმული ზის მინდორზე. მთავარი ამბები კი, რა თქმა უნდა, პენალტის ნიშნულთან ხდება.

პირველი დარტყმა „ლივერპულისაა".

მეკარე მარჯვნივ ხტება, ბუდევინ ზენდენი კი საპირისპირო მხარეს ურტყამს — 1:0.

არიენ რობენიც იმავე კუთხეს ირჩევს, საითაც ზენდენმა დაარტყა, მაგრამ რეინაც იქით ხტება და ანგარიში უცვლელი რჩება — 1:0.

მომდევნო დარტყმა ხაბი ალონსოსია. წინა პენალტისტთა არჩეულ კუთხეს არც ის ღალატობს. პეტრ ჩეხიც იქით ხტება, მაგრამ დარტყმა უზადოა — 2:0.

ფრენკ ლამპარდმა პირველმა შეცვალა დარტყმის მხარე, თანაც დაბალ კუთხეს მაღალი არჩია. რეინაც იქით გადახტა, ოღონდ დაბალ კუთხეს გადაეფარა, დარტყმა კი, როგორც ვთქვით, მაღალი იყო — 2:1.

სტივენ ჯერარდი შუაში ურტყამს, ჩეხი მარცხნივ ხტება და 3:1.

ჯერემი და რეინა ერთ კუთხეს ირჩევენ და გამარჯვებულიც „ლივერპულის" მეკარე გამოდის. ანგარიში შენარჩუნდა — 3:1 და ლივერპულელებს ფინალამდე ერთი ზუსტი დარტყმაღა აშორებთ.

ეს ზუსტი დარტყმა დირკ კუიტისაა. ჩეხი კუთხეს იცნობს, მაგრამ ბურთი ბადეშია და ყველაფერი მთავრდება. უფრო სწორად კი, „ჩელსისთვის" მთავრდება, „ლივერპული" კი ჩემპიონთა ლიგის ფინალის სამზადისს იწყებს — მეორედ ბოლო სამ წელიწადში.

პენალტებამდე კი იყო პირველი მატჩი, რომელიც „ჩელსიმ" ერთი ბურთით მოიგო და საპასუხო შეხვედრა, რომელმაც ორი მატჩის ჯამში ანგარიში გაათანაბრა.

ლონდონურ მატჩზე ლაპარაკს აღარ შევუდგებით, გუშინ კი „ენფილდზე" დიდებული თამაში გაიმართა.

დიდებულ თამაშში მეტწილად სახიფათო მომენტთა სიმრავლეს გულისხმობენ ხოლმე. მომენტები გუშინ ბევრი არ ყოფილა. დანიელ აგერის გოლი ჯერარდის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმის გათამაშებას რომ მოჰყვა, ერთიც არჩათვლილი გოლი, პიტერ კრაუჩის სახიფათო დარტყმა, ჩეხმა რომ მოიგერია და დიდიე დროგბას ხეირიანი დარტყმული — მომენტები, ფაქტობრივად, სულ ეს იყო.

მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ოცდაორივე ფეხბურთელი ზედმიწევნით ხარისხიანად ასრულებდა თავის საქმეს და სწორედ ამ ხარისხიანობის გამო იყო ეს მატჩი ძალიან კარგი.

არ ყოფილა მაურინიუს „ჩელსის" ბედი ჩემპიონთა ლიგის მოგება...

**ძოტე ძეძელია**



## ჰოლანდია

გადასასვლელი პლეი ოფი
A ჯგუფი. I ტური

ზვოლე 0:1 დორდრეხტი
ვეენდამი 5:1 იგლსი

## შვედეთი

ალსვენსკა. IV ტური

ჰელსინგბორგი 0:1 ელფსბორგი

სუპერეტა. III ტური

იონკოპინგი 1:2 ლიუნგსკილე

## ავსტრია

თასის ფინალი

აუსტრია 2:1 მატერსბურგი

## პოლონეთი

თასის ფინალი

გროცლინი 2:0 კორონა

## შოტლანდია

მეორე დივიზიონი
პლეი ოფი. I მატჩი

ქუინზ პარკი 2:0 არბროთი

## იტალია

სერია B. XXXVI ტური

არეცო 3:0 ჩეზენა
ბარი 1:2 პიაჩენცა
ფროზინონე 0:2 იუვენტუსი
ჯენოა 3:1 ვერონა
მოდენა 1:0 ბრეშა
პესკარა 0:2 სპეცია
რიმინი 1:0 კროტონე
ტრიესტინა 2:3 ლეჩე
ვიჩენცა 1:1 ბოლონია
მანტოვა 0:0 ტრევიზო
ნაპოლი 1:0 ალბინოლეფე

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარღანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფორაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლუაშვილი, ბადრი კვილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეჟუაშვილი, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრიაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge